პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 ივნისი პარასკევი 2012 №146 (13 752) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა



# რონალდომ ბრჭყალები გამოაჩინა




8

## დღეს მეორე მეოთხედფინალია

ლიოვი: ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს შინ ვთამაშობთ
სანტუში: ჩვენ აქ დასასვენებლად არ ჩამოვსულვართ

გდანსკი 22:45

გერმანია VS საბერძნეთი

## დიდი ბომბარდირი გამოგვაკლდა



2006 წელს საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩზე ბულგარეთში გავყევი. „ლევსკისთან“ შეხვედრის წინა დღეს საშუალო ასაკის ბულგარელი ჟურნალისტი იანევი (სახელი აღარ მახსოვს) გავიცანი. ვილაპარაკეთ ისტორიაზე, ჩვენი ქვეყნების მდგომარეობაზე და, რა თქმა უნდა, ფეხბურთზე.

ბულგარელ კოლეგას სსრ კავშირის ნაკრებში მოთამაშე არაერთი ფეხბურთელის გვარი ვუხსენე, მაგრამ შემაჩერა:

- 70-იანების ბოლოსა და 80-იანების დასაწყისის საბჭოთა ნაკრების ყველა მოთამაშე მახსოვს, მაგრამ ჩემი აზრით საუკეთესო რამაზ შენგელია იყო. მაშინაც ვიცოდი, რომ იგი ქართველი იყო, ასეთი ჭკვიანი თავდამსხმელი იშვიათია - სწორედ იქ აღმოჩნდებოდა, სადაც კონკრეტულ მომენტში გუნდს სჭირდებოდა. იმ დროში, იგი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

...ბულგარელი ჟურნალისტის სიტყვები დღესაც მკაფიოდ მახსოვს.

ვაჟა სიმონიშვილი

## გაინტერესებთ მომავალი ჩემპიონატის სტრუქტურა?




გადაშალეთ მე-3 გვერდზე

### გუშინ დილით მოულოდნელად გარდაიცვალა

# რამაზ შენგელია



## დავკარგეთ გულის ნაწილი

კიდევ ერთი დიდი ტკივილი და თავზარდამცემი დანაკლისი განიცადა ქართულმა ფეხბურთმა — 55 წლისა მოულოდნელად ხელიდან გამოგვეცალა სამამულო ფეხბურთის დიდებისა და მშვენების კოლორიტული განსახიერება — რამაზ შენგელია.

ქართული ფეხბურთის ყველა თაობას ჰყავდა არა მხოლოდ ოსტატობით, არამედ ამასთან ერთად ადამიანური ღირსებითაც გამორჩეული ფეხბურთელები, ყოველმხრივ მისაბაძნი რომ იყვნენ და ამაღლებდნენ ზოგადად ქართული სპორტისა და თვით ფეხბურთის ავტორიტეტს, იხვეჭდნენ სახელს და იმსახურებდნენ საყოველთაო პატივისცემას. აი, ასეთი ღირსებებით შემკულმა გაატარა თავისი ლამაზი სიცოცხლე ფეხბურთსა და ცხოვრებაში ჩვენმა სათაყვანო თანაგუნდელმა რამაზ შენგელიამ. ქუთაისის „ტორპედოში“ დიდ ფეხბურთს ნაზიარებმა პიროვნული საფეხბურთო და ადამიანური ურთიერთობების ხელწერა შემოიტანა თბილისის „დინამოში“, რომელიც მისთვისაც უსაყვარლეს და სიამაყის მომგვრელ გუნდად იქცა. ბედნიერი იყო, რომ მიეცა ამ ლეგენდარული კლუბის მაისურას ჩაცმის შესაძლებლობა. მის საფეხბურთო შემოქმედებას გვირგვინად ადგას 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ხუთივე მატჩში მონაწილეობა და გატანილი გოლი, 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისელ თანაკლუბელებთან ერთად გამარჯვება, 1980 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ახალგაზრდებს შორის.

280 მატჩი ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. გახდა ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და მესამე (1981) პრიზიორი, თასის (1979) მფლობელი. სსრკ საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა 1978 და 1981 წლებში. 1981-ში საუკეთესო ბომბარდირის ჯილდოც ხვდა წილად, იმავე წელს საქართველოში აღიარეს წლის საუკეთესო სპორტსმენად, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით კი რჩეულ ათეულში (მე-7 ადგილი) შევიდა, გახდა ფედოტოვის „ასიანთა კლუბის“ წევრი, ქართველი ფეხბურთელებიდან მას ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი უმაღლესი ლიგის მატჩებში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი და ღირსების ორდენის კავალერი — ეს ორი ტიტული სრულად ასახავს მის ღვაწლს სპორტსა და ცხოვრებაში.

საოცრად გვიმძიმს ნარსულში ჩვენი უსაყვარლესი ადამიანის მოხსენიება. თითოეულმა ჩვენგანმა დაკარგა გულის ნაწილი. ისღა დაგვრჩენია მუდამ ღირსეულად მივაგოთ პატივი მის ნათელ ხსოვნას და გვიყვარდეს ისე, როგორც მას უყვარდა სამშობლო, მშობელი ხალხი და საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე შესწირა.

თბილისის „დინამოს“ ვეტერანები

ქართული ფეხბურთის და დინამო თბილისის ლეგენდა. საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ადამიანი. ბრწყინვალე პირადი თუ გუნდური მიღწევები. საბჭოთა კავშირის 1978 და 1981 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, თასების მფლობელთა თასის მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ევროპის ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებული. 1977-1988 წლებში, ათეულ წელზე მეტი იცავდა თბილისის დინამოს ღირსებას. 403 შეხვედრა დინამოს შემადგენლობაში და 179 გოლი.

რამაზ შენგელია ყოველთვის გამორჩეულ ადგილს დაიკავებს ქართული ფეხბურთის და დინამოს ისტორიაში.

საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

რამაზ შენგელიას

გარდაცვალების გამო.

მერაბ ჟორდანია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელისა და ბრწყინვალე პიროვნების

რამაზ შენგელიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს, ვეტერან თანაგუნდელებს, მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროს.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ფეხბურთელის, შესანიშნავი მეგობრის

რამაზ შენგელიას

მოულოდნელი გარდაცვალების გამო, სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებს და ქართულ საფეხბურთო საზოგადოებას.

## დონეცკი დაამწუხრა რამაზ შენგელიას მოულოდნელმა გარდაცვალებამ

უკრაინის ბარსელონად წოდებული ქალაქი დონეცკი დაამწუხრა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის რამაზ შენგელიას მოულოდნელმა გარდაცვალებამ. ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ადგილობრივ საფეხბურთო საზოგადოებას. "შახტიორის" და სსრკ-ს ყოფილმა ფორვარდმა ვიქტორ გრაჩოვმა გვითხრა: "რამაზის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ უკრაინისათვისაც და მთელი საფეხბურთო სამყაროსთვის. იგი იყო ვირტუოზი ფეხბურთელი იუველირული ტექნიკითა და იმპროვიზაციით. მოედანზე ის იყო მრავალფუნქციური ფეხბურთელი - ბომბარდირი, კარგი პასების მომწოდებელი, მოედანს ჩინებულად ხედავდა და სიტუაციას დროულად აფასებდა. იყო ევროპული რანგის ფორვარდი".

56 წლის გრაჩოვმა თქვა, რომ ბევრჯერ უთამაშია თბილისის "დინამოს" და თვით რამაზ შენგელიას წინააღმდეგ. 1970-80-იან წლებში "შახტიორის" და თბილისის "დინამოს" შეხვედრები დიდი საფეხბურთო სპექტაკლები იყო, რამაზის დაჭერა მოედანზე არა მარტო "შახტიორის", არამედ ევროპულ გუნდებს და სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებების მცველებსაც უჭირდათ. ვეტერანმა ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ რამაზთან ერთად რამდენჯერმე ყოფილა სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში შეკრებებზე და მატჩებზე. "რამაზი იყო იუმორით სავსე პიროვნება, იგი უყვარდა მთელ ნაკრებს," - დასძინა გრაჩოვმა.

"შახტიორისა" და უკრაინის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა სერგეი ატელკინმა კი გვითხრა: "არ მჯერა, რომ რამაზი გარდაიცვალა. სულ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა მის თამაშებს ვუყურებდი და აღფრთოვანებული ვიმახსოვრებდი მის ყველა ილეთს და შთამბეჭდავ გოლებს. მე მახსოვს, როცა 30 წლის რამაზმა 1987 წელს ფანტასტიკურად ითამაშა ორივე მატჩი უეფას თასზე ბრემენის "ვერდერის" წინააღმდეგ. მან ამ ასაკშიც კი აჩვენა თამაშის მასტერკლასი მთელ ევროპას," - თქვა 40 წლის ატელკინმა და დასძინა: "მე ვტირი საქართველოსთან ერთად. დაე, მსუბუქი იყოს რამაზისთვის ქართული მიწა".

"ლელოს" მკითხველმა უკვე იცის, რომ რამდენიმე დღის წინ "შახტიორის" მუზეუმს "ლელოს" ფოტოკორესპონდენტ ალექსანდრე კოტორაშვილისგან საჩუქრად გადავეცი სურათები, სადაც აღბეჭდილია თბილისის "დინამოსა" და "შახტიორის" 1970-80 -იანი წლების მატჩები თბილისში. ერთ-ერთ სურათზე რამაზ შენგელიაა "შახტიორის" მცველების გარემოცვაში.

თენგიზ პაჭკორია,
დონეცკიდან

---

ევრო 2008. სპეციალისტის აზრით

## შოთა არველაძე:
# რა თქმა უნდა ესპანეთი და გერმანია

ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე აზრის გამოთქმა არაერთ სპეციალისტს ვთხოვეთ, გუშინ კი სტამბულში "კაისერისფორის" თავკაც შოთა არველაძეს დავუკავშირდით. ის მოქმედი მწვრთნელია ევროპის ერთ-ერთ შეძლებულ ლიგაში, ფეხბურთელობისას არაერთი კარგ ევროპულ გუნდში უთამაშია არაერთი დიდი ევროპული გუნდის წინააღმდეგ. მოკლედ, ევროპულ ფეხბურთში კარგად გათვითცნობიერებულ რესპონდენტს მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

**- ჯგუფური ეტაპი დასრულდა და როგორ შეაფასებდი განვლილ მატჩებს?**

- ჯგუფურ ეტაპზე მოხდა ის , რასაც ველოდი და რასაც ალბათ უმრავლესობა ელოდა, განსაკუთრებული სიურპრიზები არ მომხდარა თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჰოლანდია ტურნირს გამოეთიშა. არადა ამ გუნდს ლამაზი და შემტევი ფეხბურთი უნდა ეჩვენებინა, ვფიქრობ, დანიასთან მარცხის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებში ყველაფერი აირია.

**- ჰოლანდიურ ფეხბურთს კარგად იცნობ, გითამაშია "აიაქსში" და "ალკმაარში", იქ მწვრთნელადაც გიმუშავია. ჰოლანდიის ამ ნაკრებში ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც არიან არიენ რობენი, რაფაელ ვან დერ ვაარტი, რობინ ვან პერსი... მაინც, რა გგონია ასეთი ხელმოცარვის მიზეზი?**

- ბოლო ექვის წლის განმავლობაში ჰოლანდიის ნაკრები მხოლოდ ორჯერ დამარცხდა, დანიასთან, უბრალოდ, არ გაუმართლა. მერე როგორც გაირკვა, გუნდში ფეხბურთელებს შორის პრობლემა არსებობდა, ზოგიერთმა მოთამაშემ საკუთარი თავი გუნდზე მაღლა დააყენა.

**- ჯგუფურ ეტაპზე რომელმა გუნდმა ითამაშა ყველაზე კარგი და საინტერესო ფეხბურთი?**

- ესპანეთმა, რუსეთმა და გერმანიამ.

**- როგორც მწვრთნელს, რა ტენდენციები დაგანახა ევროპის ამ ჩემპიონატმა?**

- ერთხელაც დავინახე, რომ რაგინდ ძლიერი ფეხბურთელები გყავდეს, გუნდური თამაში და ორგანიზებულობა ყველაზე მნიშვნელოვანია. რამაც ყველაზე უფრო გამაკვირვა, ასეთი დიდი ტურნირისთვის ზოგი გუნდი არც თუ კარგად აღმოჩნდა მომზადებული ფიზიკურად.

**- ესპანეთი და გერმანია – სპეციალისტების უმრავლესობას ეს გუნდები მიაჩნიათ ტურნირის ფავორიტად და ეთანხმებით ასეთ შეფასებას?**

- რა თქმა უნდა, ვეთანხმები. ესპანეთი და გერმანია თამაშის სტილით მკვეთრად განსხვავდებიან, მაგრამ ორივე ნაკრები თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს და თანამედროვე ფორმაციის ფეხბურთელებიც ჰყავს.

**- ისე ჩანს, რომ თითქმის ყველა გუნდი 4-3-3 განლაგებით თამაშობს. რატომ, ეს უკვე დოგმად იქცა თანამედროვე ფეხბურთში თუ სხვა რამეშია საქმე?**

- არა მგონია, რომ ეს დოგმა იყოს. უბრალოდ, მთელი მსოფლიო ახლა მართლაც ამ სქემას ანიჭებს უპირატესობას და ნაკრების მწვრთნელებს დრო ფაქტობრივად აღარ რჩებათ, რომ რაიმე ძირეული ცვლილებები განახორციელონ.

**- ჩემპიონთა ლიგა თუ ევროპის ჩემპიონატი – რომელი ტურნირი მიგაჩნია უფრო სოლიდურად და რატომ?**

- ლიგა ყველაფერს მირჩევნია, რადგან მასში მთელი მსოფლიოს ვარსკვლავები თამაშობენ და ტურნირი თითქმის ერთ წელიწადს გრძელდება და ამ პერიოდში ყველაფერი კარგად ჩანს: ხასიათი, ნიჭიერებისყოფა, გუნდური თამაში და ტაქტიკა; კარგად ჩანს ფეხბურთელის პროფესიონალიზმი, რამაც მისი სისტემატიურად კარგ ფორმაში ყოფნა უნდა უზრუნველყოს – ამ ყველაფრის გაკეთება მხოლოდ საუკეთესოებს შეუძლიათ.

**- ევროპის ამ ჩემპიონატმა სასიამოვნოდ ვერაფრით ვერ გაგაკვირვა?**

- რასაც შემოქმედებითობა ქვია, ახალი ჯერ ვერაფერი ვერ დავინახე, დიდი გუნდები, ესპანეთი და გერმანია ისევ ისე თამაშობენ, როგორც ადრე. თუ რამემ გამაკვირვა, იყო რუსეთის ნაკრები, რუსებს ასეთ სტილში ფეხბურთი არასდროს არ უთამაშიათ.

**- საკუთარ გუნდზეც გკითხავ. როდის იწყებთ მზადებას და რას გეგმავთ 2012/13 წლების სეზონში?**

- მზადებას 28 ივნისს ვიწყებთ და ევროტურნირზე მოხვედრას ვგეგმავთ, "კაისერისფორის" თამაშის სტილი არ შეიცვლება და იმედია, წარმატებასაც მივაღწევთ.

**- რომელიმე ქართველის ფეხბურთელი დამატებას ხომ არ აპირებ?**

- აღარ, გიორგი ლორიას დამატება კი მინდოდა, მაგრამ ლეგიონერებზე ლიმიტის გამო არჩევანი თურქ მეკარეზე გავაკეთე.

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო-2012 სპეციალისტის აზრი



ერთ-ერთი ყველაზე საკამათო მომენტი ევროზე ინგლისელთა კარში არჩათვლილი გოლი იყო

# ავთანდილ შალამბერიძე: საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ არბიტრი იღებს

**მსაჯთა გადაწყვეტილებების გამო ყოველი დიდი საფეხბურთო ტურნირის დროს კამათობენ ხოლმე და გამონაკლისი არც ევრო-2012-ია. "ლელომ" ამ თემაზე სასაუბროდ ვეტერან არბიტრს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილეს, ავთანდილ შალამბერიძეს მიმართა.**

საუბარი ინგლისის ნაკრების კარში არჩათვლილ გოლის შესახებ დავიწყეთ.

*"ორი აზრი არ არსებობს, მსაჯმა ნაღდი გოლი არ ჩათვალა და ეს შეცდომა თვით უეფამაც აღიარა და ამ შეხვედრის არბიტრ ვიქტორ კაშაისთვის ევროპის ჩემპიონატი უკვე დასრულდა. ხშირად სვამენ შეკითხვას, თუ რას აკეთებს კარის სიახლოვეს მდგარი მსაჯი და რატომ არავის უნახავს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ მეოთხე მსაჯიც და ლაინსმენიც მატჩის არბიტრს მხოლოდ და მხოლოდ რეკომენდაციებს აწვდიან, საბოლოო გადაწყვეტილებას კი მხოლოდ არბიტრი იღებს. მას შეუძლია, არც მეოთხე მსაჯის პოზიცია გაითვალისწინოს და თანამსაჯის მიერ დაფიქსირებული თამაშგარე მდგომარეობაც კი უგულებელყოს! სხვა საქმეა, რომ მეოთხე მსაჯს ინგლისელთა კარში გასული გოლი უნდა დაენახა. იგი პირით ხაზზე კი არ იდგა, ოდნავ მოედნისკენ იყო შეწეული და მახვილი კუთხიდან სიტუაციაში სწორად გარკვევა გაუჭირდა"*, - გვითხრა შალამბერიძემ.

მოკლედ, ზედმეტიც კი არის იმაზე საუბარი, რომ ამ ეპიზოდში მსაჯის შეცდომა აშკარა იყო, ჩვენს რესპონდენტს რამდენიმე საკამათო მომენტის შეფასებაც ვთხოვეთ.

### ხორვატია-ესპანეთი

***ესპანეთის ნაკრების კარში არდანიშნული პენალტი:***

"ხორვატ ვედრან ჩორლუკას ესპანელმა მცველმა მაისურზე დაქაჩა, მაგრამ, შესაძლოა, არბიტრმა მიიჩნია, რომ მანამდე იგივე ქმედებას ადგილი მანჯუკიჩის მხრიდან ჰქონდა და თერთმეტმეტრიანის დანიშვნისგან თავი ამიტომაც შეიკავა".

### პოლონეთი-საბერძნეთი

***ბერძენი სოკრატის პაპასტატოპულოსის გაძევება:***

"მეორე ყვითელი ბარათი სამართლიანი იყო, პაპასტატოპულოსის მხრიდან წესების დარღვევა აშკარა იყო. თუმცა მანამდე, როცა იგი პირველად გააფრთხილეს, მსაჯი შეცდა და მოეჩვენა, თითქოს ბერძენმა მცველმა მეტოქეს იდაყვი ჩაარტყა".

### საბერძნეთი-რუსეთი

***რუსეთის ნაკრების კარში არდანიშნული პენალტი:***

"ვფიქრობ, მსაჯი შეცდა – კარაგუნისის წინააღმდეგ წესების დარღვევა აშკარა იყო. თუმცა ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, თითქოს ბერძენთა კაპიტანი გაფრთხილების ღირსი არ იყო – მან არბიტრის გადაწყვეტილება მეტისმეტად ემოციურად გააპროტესტა.

საერთოდ კი, არდანიშნული პენალტი აპრიორში არ ნიშნავს, რომ შემტევი ფეხბურთელი სიმულაციისთვის უნდა გააფრთხილონ. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა იგი თეატრალური ვარდნით ცდილობს თერთმეტრიანის მოპოვებას".

■ ■ ■

რაც შეეხება ზოგად სამსაჯო ტენდენციებს, შალამბერიძეს მიაჩნია, რომ ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე ნაკლებად ვხედავთ ზღვარგადასულ უხეშობას, რაც მსაჯთა პრინციპული პოზიციის დამსახურებად მიაჩნია. მსაჯებმა კი, თავის მხრივ, ეს ინსტრუქცია ზემდგომი ორგანოდან მიიღეს.

ევრო-2012-ის საუკეთესო არბიტრებად შალამბერიძეს პორტუგალიელი **პედრო პროენშა**, იტალიელი **ნიკოლა რიცოლი** და სლოვაკი **დამირ სკომინა** მიაჩნია და ვარაუდობს, რომ ფინალის განსჯას ერთ-ერთ მათგანს მიანდობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მსაჯთა საფიხვნო

# სამსაჯო განყოფილებას კვლავ ფანიაშვილი ხელმძღვანელობს

ალბათ გახსოვთ, გასული სეზონის მიწურულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელობას უფლებამოსილება დროებით რომ შეუჩერდა. ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით კი საქართველოს თასის ფინალში მომხდარმა უმსგავსო ფაქტებმა დაგვანახა, რომ ამ გადაწყვეტილებას დადებითი არაფერი მოჰყოლია და ეს ყოვლად გაუგებარი ექსპერიმენტიც დასრულდა.

როგორც შევიტყვეთ, სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელობამ თანამდებობაზე მუშაობა ძველ რეჟიმში განაახლა და, შესაბამისად, განყოფილებას სათავეში კვლავ **ლევან ფანიაშვილი** უდგას.

მისგან ევროპის ჩემპიონატის სამსაჯო საკითხებზეც გვსურდა კომენტარის მიღება, მაგრამ როგორც უეფას მსაჯთა დამკვირვებელს, ფანიაშვილს ამ თემაზე და ზოგადად, ევროპის ჩემპიონატის საფეხბურთო პერიპეტიებზე საუბარი აკრძალული ჰქონია.

ფანიაშვილისგან შევიტყვეთ, რომ ქართველი მსაჯები მომავალი სეზონისთვის მზადებას ივლისის ბოლოდან შეუდგებიან და, სავარაუდოდ, შეკრებას თბილისში, ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" გაივლიან, ფიზიკური მომზადების ნორმატივებს კი ეროვნულ სტადიონზე ჩააბარებენ.

შეკრების პარალელურად კი თბილისში ფიფას სამსაჯო ინსტრუქტორთა სემინარი გაიმართება და უცხოელი სპეციალისტები ქართველ მსაჯებს ფიზიკურად და თეორიულ-პრაქტიკულად მოამზადებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ისევ პროფლიგაზე

# რატომ ვერ აღადგინეს პროფლიგა?

## ვლადიმერ გუცაევი: ეს ამბავი კომენტარსაც არ იმსახურებს

"ლელოს" მკითხველისთვის ცნობილია, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენის მცდელობა კრახით დასრულდა. ერთი შეხედვით, ორი კვირის განმავლობაში მოლაპარაკებები იდეალურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ, ინიციატორებს ცივი შხაპი გადაასხეს.

ვინ და რატომ გადაწყვიტა ასე, გამოცანად რჩება, მიზეზებს არავინ აკონკრეტებს და რატომღაც, მომხდარი ბურუსით არის მოცული.

არადა, ინიციატივა რომ გაჟღერდა, ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების წარმომადგენლები ხმაშეწყობილად ამბობდნენ, რომ პროფლიგის აღდგენა ქართული ფეხბურთის მომავალს წაადგებოდა.

შეგახსენებთ, რომ პროფლიგის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი წარსულში თბილისის "დინამოს" ვარსკვლავი **ვლადიმერ გუცაევი** იყო.

გუცაევს კომენტარისთვის დავუკავშირდით, მაგრამ მან ამ თემაზე ლაპარაკი არ ისურვა და მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოგვიჭრა: *"რა უნდა ვთქვა? პროფლიგა ჩემპიონატის უკეთ ჩასატარებლად აუცილებელი იყო, მაგრამ არ უნდათ. სირცხვილია, მეტი არაფერი. ეს გადაწყვეტილება კომენტარსაც არ იმსახურებს".*

**მერაბ მამულაშვილი**



ვლადიმერ გუცაევი

საქართველოს ჩემპიონატი

# ფედერაციამ კლუბებს კონკრეტული შესთავაზა

## ჩემპიონატის ჩატარება 3 000 000 დაჯდება

**პროფლიგის ხელახლა შექმნის იდეამ ჩაილურის წყალი რომ დალია, "ლელომ" ამის შესახებ ცოტა ხნის წინ უკვე გაუწყათ. ფეხბურთის ფედერაცია უმაღლესი ლიგის კლუბებს ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს და "ლელოში" ამაზეც წაიკითხავდით. ჩვენ კი ახლა გთავაზობთ იმ დოკუმენტს, რომლითაც ფედერაციამ ოფიციალურად მიმართა კლუბებს. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არავისთვის იქნება, თუ კონკრეტულად და ზუსტად გაიგებს, რა შეთავაზება მიიღეს კლუბებმა ფედერაციისგან.**

## უმაღლესი ლიგა ჩემპიონატის სტრუქტურა (პროექტი)

**პირველი ეტაპი:**

— მონაწილეობს თორმეტი გუნდი ორ წრედ (22 ტური);

**მეორე ეტაპი:**

სპორტული შედეგები:

პირველი ექვსეული — ბრძოლა ჩემპიონობისთვის ორ წრედ (10 ტური);

მეორე ექვსეული — უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ორ წრედ (10 ტური);

*სულ 32 ტური*

**ჩემპიონატის სტრუქტურა**

— მეორე ეტაპზე გუნდებს გადაყვებათ მოპოვებული შედეგები (ქულა, მოგება და ა.შ):

— უმაღლეს ლიგას ავტომატურად ტოვებენ მეორე ექვსეულში მე-11-12 ადგილზე გასული გუნდები;

— უმაღლეს ლიგაში ავტომატურად გადმოდიან პირველი ლიგის პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები;

— უმაღლეს ლიგაში მეათე ადგილზე გასული გუნდი ადგილის შენარჩუნებისთვის ორ შეხვედრას (ან ერთს ნეიტრალურ მოედანზე) ჩაატარებს პირველი ლიგის მესამე ადგილის მფლობელთან;

— დუბლიორთა და ჭაბუკთა ლიგის გათამაშებები გაიმართება სამ წრედ

**ჩემპიონატის მართვა და მენეჯმენტი**

სფფ — ფეხბურთის მმართველი ორგანო

უმაღლესი ლიგის დირექტორი ხელმძღვანელობს სფფ-ს წესდებით, უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების დებულებით;

- სფფ-ს უფლებამოსილ ორგანოებთან ათანხმებს საშეჯიბრო კალენდარს;

- მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში იხილავს საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციებს;

- მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენელს სფფ-ს აღმასკომში და სხვა შესაბამის ორგანოებში;

- კოორდინაციას უწევს სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილების და მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისიის მუშაობას.

**უმაღლესი ლიგის საკონსულტაციო საბჭო**

(კლუბების პრეზიდენტები)

- წარმოდგენილია კლუბების პრეზიდენტების სახით
- მართავს სხდომებს (ქვორუმი)
- გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით (ოქმი)
- იძლევა სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებებს (ოქმი)

**საშეჯიბრო განყოფილება**

- ადგენს და დირექტორს წარუდგენს უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების დებულებას და კალენდარს;

- მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშებას;

**მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისია**

- მინიჭებული კომპეტენციის ფაგლებში ნიშნავს მსაჯებს, დამკვირვებლებს და დელეგატებს

**მსაჯთა და დამკვირვებელთა დანიშვნა**

- კომისიის შემადგენლობა (4)

- სფფ-ს ვიცე პრეზიდენტი (თავმჯდომარე) — **გადამწყვეტი ხმის უფლებით**

- საშეჯიბრო განყოფილება – **ხმის უფლებით**

- გენერალური სამდივნო - **ხმის უფლებით**

- სამსაჯო განყოფილება (კანდიდატურის წარმდგენი) – **ხმის უფლებით**

პროცედურა: — **სამსაჯო განყოფილება კომისიას წარუდგენს კანდიდატურებს;**

- კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.

*კლუბების დაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელია უცხოელი მსაჯების მოწვევა*

**დელეგატის დანიშვნა**

- კომისიის შემადგენლობა (4)

- სფფ-ს ვიცე პრეზიდენტი (თავმჯდომარე) — **გადამწყვეტი ხმის უფლებით**

- სამსაჯო განყოფილება – **ხმის უფლებით**

- გენერალური სამდივნო — **ხმის უფლებით**

- საშეჯიბრო განყოფილება (კანდიდატურის წარმდგენი) – **ხმის უფლებით**

**პროცედურა: — საშეჯიბრო განყოფილება კომისიას წარუდგენს კანდიდატურებს; — კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.**

კომისია გადაწყვეტილებას იღებს ტურამდე არანაკლებ ორი დღით ადრე;

გადაწყვეტილება ქვეყნდება ტურამდე ერთი დღით ადრე.

**ფინანსური უზრუნველყოფა**

— მსაჯთა კორპუსის დაფინანსება — **1.0 მლნ ლარი**

— ჩემპიონატის პრემიალური ფონდი — **2 მლნ ლარი**

**განიხილება შემდეგი მექანიზმები**

— პრემიალური ფონდი გადანაწილდება 1-7 ადგილზე გასულ გუნდებს შორის

*(განაწილების ოდენობაზე გადაწყვეტილებას წინასწარ იღებს საკონსულტაციო საბჭო);*

— პრემიალური ფონდის 40-50% გადაეცემათ საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს, 50-60% გადანაწილდება 9 გუნდზე, ქულების პროცენტული ოდენობის შესაბამისად;

— მიიღება ალტერნატიული წინადადებები (გუნდები).

ჩემპიონატის დაწყება — **11-18 აგვისტო**

ჩემპიონატის დამთავრება — **25-26 მაისი (თასის ჩათვლით)**

ჩემპიონატის საწევრო — **(თანხა ჯერ დადგენილი არ არის)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# ადამიამ ხაზარზე უარი თქვა

### უმცროსი ცხადაძე ევროლიგას იმედით ელის



გიორგი ადამია

ბაქოს "ინტერმა" სეზონისთვის მზადება დაიწყო. **კახა ცხადაძესთან** "ყარაბახიდან" გადასულმა **გიორგი ადამიამ** კი "ინტერის" შემადგენლობაში პირველივე შეხვედრა ჰეთ-თრიქით დაასრულა(ამ საკონტროლო მატჩში ასევე 3 გოლი გაიტანა **ბაჩანა ცხადაძემ**).

ახლა ბაქოელთა გუნდი სლოვენიაში ემზადება, გიორგის კი აზერბაიჯანულმა გაზეთმა ინტერვიუ ჩამოართვა. ადამია ამბობს, რომ ახალ გუნდთან ადაპტაცია სჭირდება: *"თანაგუნდელებთან შეგუება არ გამჭირვებია, მაგრამ "ინტერი" სულ სხვა ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე ჩემი ძველი კლუბი "ყარაბახი" და მის სტილთან შეჩვევა მჭირდება. მიმაჩნია, რომ ეს რთული არ იქნება.*

*დიახ, ლენქორანის "ხაზარში" გადასვლაც შემეძლო. ეს კლუბი ჯერ კიდევ ბაქოს "ნეფთჩიში" თამაშის დროს მიწვევდა და "ნეფთჩიზე" ბევრად მეტ ხელფასს მთავაზობდა. მაგრამ გადასვლა არ შემეძლო, რადგან ბაქოში ორი წარმატებული სეზონი ჩავატარე – ამ გუნდში აზერბაიჯანის ჩემპიონი და "თანამეგობრობის თასის" მფლობელი გავხდი. კონკურენტ გუნდში გადასვლა კი არ მსურდა".*

"ინტერის" საუკეთესო თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე** კი ამბობს, რომ ევროპის ლიგის მატჩებისთვის გუნდი კარგად ემზადება: *"მოედანზე გამოჩნდება, რეალურად როგორ მოვემზადეთ. მაგრამ მიმაჩნია, რომ შეკრება კარგად მიმდინარეობს და ევროპის ლიგის მატჩებს კლუბი ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება. კენჭისყრაზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ ვინც არ უნდა შევხვდეს, ყველაფერი მოედანზე წყდება და არა სახელითა და სტატისტიკით. ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას შევეცდებით, მაგრამ რა იქნება ეს მაქსიმუმი, ევროპალიგის მატჩები გვაჩვენებს".*

გუშინ კი "ინტერმა" სლოვენიაში ქვეყნის ჩემპიონ "მარიბორთან" საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და 0:1 დამარცხდა

**მერაბ მამულაშვილი**

# ოთარ მარცვალაძე ინდივიდუალურად ვარჯიშობს

რუსეთის პრემიერლიგის "კრასნოდარმა" სეზონისთვის მზადება სლოვენიაში დაიწყო და მალე საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს. მაგრამ გუნდს არ ახლავს საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე**.

*"სხვადასხვა მიზეზთა გამო, მარცვალაძე და კიდევ სამი მოთამაშე ინდივიდუალური პროგრამით კრასნოდარში ემზადებიან,"* – განაცხადა "კრასნოდარის" გენერალურმა დირექტორმა **ვლადიმერ ხაშიგმა**, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, რა გახდა ქართველი ლეგიონერის დატოვების მიზეზი.

აქვე გეტყვით, რომ გასული სეზონის დასრულების შემდეგ რუსულ პრემიერლიგის ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" გულშემატკივრებმა მარცვალაძე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელებში დაასახელეს. მიუხედავად იმისა, რომ ოთარმა კლუბი გასული წლის ზაფხულში დატოვა და "ვოლგაში" სეზონის 2/3-ზე მეტი არ ჩაუტარებია, ნიჟნელმა ფანებმა მე-5 ადგილზე გაიყვანეს.



ოთარ მარცვალაძე

პირველზე ვეტერანი ნახევარმცველი **ანდრეი კარიაკაა**, მეორეზე კი - საქართველოში გაზრდილი თავდამსხმელი **შოთა ბიბილოვი**.

**მერაბ მამულაშვილი**

# ხუბუტია გაზ მეთანში მოემზადება



აკაკი ხუბუტია

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველს **აკაკი ხუბუტიას** თურქულ „სამსუნსფორში" იჯარა დაუსრულდა და ახალ კლუბში გადასვლას იმედოვნებს.

25 წლის მოთამაშეს კონტრაქტი „გაზ მეთანთან" აკავშირებს, მაგრამ რუმინეთში დაბრუნებას არ აპირებს და ახალ კლუბში გადასვლას იმედოვნებს. მან უკვე განაცხადა, რომ შეთავაზება ჰქონდა თბილისის „დინამოდან", მაგრამ საქართველოში დაბრუნება არ ისურვა.

*„სეზონისთვის მზადებას "გაზ-მეთანთან" ერთად დავიწყებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონში ამ კლუბში ვითამაშებ. უბრალოდ, მოსამზადებელი ციკლის ჩაგდება გაუმართლებელი იქნებოდა. კარგად მოვემზადები და როდესაც დაინტერესებული კლუბი მიმიწვევს, ფორმაში უნდა ვიყო. ახლა კონკრეტულ შეთავაზებებს ველოდები. თურქეთისა და სხვა ქვეყნების რამდენიმე კლუბთან მოლაპარაკება დაწყებულია, მაგრამ მათი დაკონკრეტებისგან ჯერ თავს შევიკავებ,"* – გვითხრა ხუბუტიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჯაკობია: ალიარების შემდეგ ლაზარეთში

ახლახან "უა-ფუტბოლმა" უკრაინის პირველი ლიგის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში "სევასტოპოლის" მცველი **მათე ღვინიანიძე** დაასახელა, რეზერვისტებში კი უჟგოროდის "გოვერლა-ზაკარპატიეს" თავდამსხმელი **ლაშა ჯაკობია**.

ინტერნეტგამოცემამ გამოცდილი ქართველის ფეხბურთში დაბრუნება "ტრიუმფალურად" მონათლა.

სამწუხაროდ, ლაშა ახალი სეზონისთვის პრემიერლიგაში დაბრუნებულ უჟგოროდის "გოვერლა-ზაკარპატიესთან" ერთად ვერ ემზადება. გუნდი საკუთარ ქალაქში გადის შეკრებას, ლაშა კი მკურნალობს – სეზონის ბოლოს მუხლმა შეაწუხა და მართალია, თავი ქუდში ეგონა, მაგრამ ექიმებმა ისევ ლაზარეთისკენ მიუთითეს.

## სირაძე ისევ ნალჩიკში?

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **დავით სირაძემ** ლენქორანის "ხაზარში" გადასვლაზე უარი თქვა.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის თავდამსხმელმა "ლელოსთან" განაცხადა, რომ მას აზერბაიჯანში "ბაკი" და "ნეფთჩი" იწვევენ.

"აზერისპორტი" იმასაც წერს, რომ სირაძემ საბოლოოდ მაინც ნალჩიკის "სპარტაკში" დაბრუნება და კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. მაგრამ ეს ინფორმაცია ჯერ არ დასტურდება.

## დაუშვილმა რუხთან ითამაშა

ლვოვის "კარპატიმ" სეზონისთვის მზადება დაიწყო. უკრაინელები პოლონეთის მოყვარულთა გუნდს, ვინიკის "რუხს" შეხვდნენ და 4:0 მოუგეს.

ლვოველთა ქართველი ლეგიონერი **ბუბა დაუშვილი** მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა - საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს გოლი არ გაუტანია.

## მესხია, შესაძლოა, ობოლონში დარჩეს

უკრაინული ინტერნეტ-გაზეთი "უა-ფუტბოლი" უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველ **ირაკლი მესხიაზე** საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს: *"უკრაინის დასრულებული ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა, კიევის "ობოლონის" მოთამაშე ირაკლი მესხია, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან "ობოლონს" პირველ ლიგაში არ დაეხმაროს და პრემიერლიგის რომელიმე კლუბში აღმოჩნდეს. ნიჭიერი ახალგაზრდის გადაბირება დონეცკის "მეტალურგსა" და მარიუპოლის "ილიჩივეცს" სურთ".*

.მაგრამ ბოლო დღეებში ვითარება შეიცვალა. უკრაინის პრემიერლიგაში დიდი სკანდალი მწიფდება: დასრულებულ ჩემპიონატში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომისიამ გარიგებული მატჩების გამოვლენა დაიწყო. სერიოზული ეჭვებია, რომ ასეთი იყო ხარკოვის "მეტალისტისა" და ლვოვის "კარპატის" შეხვედრა და კლუბებს დასჯას უპირებენ.

ორი ვარიანტია - კლუბებს ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებიდან 9-9 ქულას მოუხსნიან ან ორივეს პირველ ლიგაში დააქვეითებენ. ასეთ შემთხვევაში, კიევის "ობოლონი" უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, მესხია კი არსად გადავა და კვლავ "ობოლონში" ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩიხურა



დავით ოდიკაძე

### სოსო ფრუიძე:

# ღირსეულად დავბრუნდებით

### დავით ოდიკაძე ჩიხურაში?

**უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა საჩხერის "ჩიხურამ" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ გუნდი შეკრიბა და შემადგენლობის გადახალისება დაიწყო.**

**სიახლეებიდან "ჩიხურამ" მხოლოდ ორი ამბავი გაახმოვანა: 24 წლის მეკარე რევაზ თევდორაძემ ბაქოს "ინტერთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თევდორაძეს საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში უთამაშია, გამოცდილი მეკარეა და ცხადია, მისი წასვლა დიდი დანაკლისია.**

**ნამატი კი ჯერ მხოლოდ ერთია: საჩხერეში ქუთაისის "ტორპედოს", "ზესტაფონისა" და "ოლიმპის" ყოფილი თავდამსხმელი გაგა ჩხეტიანი ვარჯიშობს. 28 წლის ჩხეტიანი 2009 წლიდან ისრაელის კლუბებში თამაშობდა, ბოლოს კი ლეუმიტ ლიგის (რანგით მეორე ლიგის) ბეერ შევას „მაკაბიში" გამოდიოდა.**

**"ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი "ლელოს" სეზონისთვის მზადებაზე, სიახლეებსა და გუნდის მიზნებზე ელაპარაკება.**

**- უპირველესად, მოსამზადებელი ეტაპის გეგმებზე ვილაპარაკოთ. როდის და სად დაიწყეთ ვარჯიში და სად გააგრძელებთ.**

- 17 ივნისს საჩხერეში შევიკრიბეთ და სეზონისათვის მზადება ხელოვნურსაფარიან მოედანზე დავიწყეთ. აქ 26 ივნისამდე გავჩერდებით და ორჯერადადი ვარჯიშები გვექნება, ხოლო შემდეგ ურეკში ორკვირიან შეკრებას გავივლით.

**- უცხოურ შეკრებას არ გეგმავთ?**

- გვინდა, მაგრამ ეს ამინდებზეც არის დამოკიდებული. თავიდან ვფიქრობდით, რომ დასკვნითი ეტაპი თურქეთში ჩაგვეტარებინა, მაგრამ ანთალიაში ძალიან ცხელა, ასეთ ამინდში კი მომზადება ნაკლებად ეფექტურია. მაგრამ ვნახოთ, თურქეთში სხვა მოსამზადებელი ცენტრებიც არის და იმედია, შესაფერის ადგილს შევარჩევთ.

**- საკონტროლო შეხვედრებს ვისთან გამართავთ?**

- ურეკთან ფოთიც ახლოს არის და ზუგდიდიც და "კოლხეთისა" და ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელობას დავეკონტაქტებით. მარტვილის "მერანიც" ურეკში მოემზადება და იმედია, ვითამაშებთ. მერე, თუ უცხოეთში მოვემზადებით, სპარინგებს იქაც ჩავატარებთ.

**- სიახლეებზე ვილაპარაკოთ - ვინ წავიდა და ვინ მოვიდა?**

- გეცოდინებათ, თევდორაძე რომ წავიდა და თავდამსხმელი ჩხეტიანი დავიმატეთ. კონტრაქტები დაუსრულდათ და წავიდნენ ირაკლი ლილუაშვილი, გოგი ფიფია და სანდრო იაშვილი.

**- მათ არ ისურვეს დარჩენა?**

- ასე ვთქვათ, დავშორდით.

**- ყველა დანარჩენი გუნდში ითამაშებს?**

- ჯერჯერობით, ასეა. მაგრამ დამრჩენებისა და გასაშვებების ვინაობას უახლოეს ერთ კვირაში ვიტყვით.

**– "ჩიხურამ" პლეი აუტში დამაჯერებლად, სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გაიმარჯვა, მაგრამ თქვენ მაინც აუტსაიდერებთან თამაშობდით. თავი ქუდში რომ გქონდეთ, გუნდს გაძლიერება დასჭირდება.**

- რა თქმა უნდა და საამისოდ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. რამდენიმე ფეხბურთელის აყვანა გვსურს, მაგრამ ახლა მათ გვარებს ვერ გეტყვით.

**- ზუგდიდის "ბაიას" მეკარე გიორგი სომხიშვილმა გაგვიმხილა, რომ კონტრაქტი შესთავაზეთ.**

- დიახ, გიორგის გადმოყვანა გვსურს და ჩვენ პირობებსაც გაეცნო. დანარჩენი ამ დღეებში გაირკვევა.

**- შევიტყვეთ, რომ თბილისის "დინამოდან" დავით ოდიკაძეს მიწვევაც გსურთ.**

- დიახ, სურვილი გვაქვს და დათოსველაპარაკეთ კიდეც, მაგრამ სომხიშვილის არ იყოს, ახლა მასზეა დამოკიდებული, ითამაშებს თუ არა "ჩიხურაში".

**- ახალ სეზონში რა მიზნებს ისახავთ?**

- ჩვენი ამოცანა უმაღლეს ლიგაში ღირსეული დაბრუნება და საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა.

**- როგორია გუნდის ფინანსური მდგომარეობა?**

- სულ მცირე, შარშანდელი ბიუჯეტი არ შეგვიმცირდება.

**- მაგრამ პირველი ლიგის ბიუჯეტი უმაღლესში საკმარისი არ იქნება, გაცილებით მეტი თანხაა დაგჭირდებათ.**

- ჩვენ უკეთესობის იმედი გვაქვს. მერწმუნეთ, "ჩიხურას" არ გაუჭირდება.

**- ბრძანებთ, რომ სოფელ ივანწმინდას სტადიონზე ითამაშებთ – ეს უკვე გადაწყვეტილია?**

- სტადიონზე გარკვეული სამუშაოები იგეგმება და იმედია, რომ სტადიონი ლიცენზიას მიიღებს და ფეხბურთის ფედერაცია ივანწმინდაში თამაშის უფლებას დაგვრთავს. იქ არის მშვენიერი მოედნის საფარი, მოწესრიგებული გასახდელები და მსაჯთა და დელეგატების ოთახები, მცირე, მაგრამ კოხტა ტრიბუნები და წესით, მატჩის მასპინძლობა არ უნდა აგვიკრძალონ.

**მერაბ მამულაშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სპარტაკი

# გამოცდილი ფეხბურთელები წავიდნენ



ვლადიმერ ხაჩიძე

უკვე კვირაზე მეტია, რაც პირველ ლიგაში დაქვეითებულმა ცხინვალის "სპარტაკმა" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდს კვლავაც **ვლადიმერ ხაჩიძე** ამზადებს. სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები არ არის, რასაც ვერ ვიტყვით გუნდის შემადგენლობაზე.

გამოცდილ ფეხბურთლებს კლუბთან საკონტრაქტო ვადა უკვე ამოეწურათ კარიერას სხვაგან გააგრძელებენ. "სპარტაკი" უკვე დატოვეს მეკარე **ლაშა ძაგანიამ**, მცველებმა, **დავით ლომაიამ, ზვიად ლობჟანიძემ** და **ბადრი ტეტუნაშვილმა**, ნახევარმცველებმა - **ირაკლი სამხარაძემ, გიორგი მამუჩიშვილმა** და **ნიკოლოზ მაისურაძემ**, თავდამსხმელებმა, **ლევან მელქაძემ** და **ილია ბუზალაძემ**. ცხინვალელთა გუნდში მაისის ბოლომდე იყვნენ განათხოვრებული შემტევი ფეხბურთელები, **ლაშა ჩაფიძე** და **კონსტანტინე გაბაშვილი**, თუმცა საიჯარო ვადა დასრულდა და ფეხბურთელებმა კვლავ თბილისის "დინამოს" მიაშურეს.

ხაჩიძის გუნდში ახალი სახეები გამოჩნდნენ, მაგრამ მათგან ცნობილი არავინ არის. უმეტესობა ის მოთამაშეები არიან, რომელთაც გასულ სეზონში დუბლებში იასპარეზეს. ჯერჯერობით, "სპარტაკში" ვარჯიშობს გუნდის კაპიტანი **თეიმურაზ შონია**. მასაც უკეთეს დონეზე უნდა თამაში, მაგრამ ჯერ მისი მომავალი კლუბის ვინაობა არ გარკვეულა.

მომავალ სეზონში "სპარტაკის" მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იქნება, მაგრამ საკითხავია, როგორ მოხერხდება ამ ამოცანის გადაჭრა გამოუცდელი კადრებით.

ხაჩიძე გუნდს ჯერ საბურთალოზე, "ზენდელას" სტადიონზე ავარჯიშებს, ივლისში კი "სპარტაკი" მოსამზადებელ შეკრებას ბაკურიანში გაივლის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია




# რა უხარიათ და აწუხებთ გორელებს?

გაძლიერებული და ამბიციამოჭარბებული გორის „დილა" თანდათან იცლება ადგილობრივი ფეხბურთელებისაგან. ევროპა ლიგისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ავსტრიაში გამგზავრებული „დილას" შემადგენლობაში ორი გორელი ფეხბურთელი **რომან ახალკაცი** და **ნიკა სადალაშვილიღა** დარჩა. ბოლოს კლუბიდან გაუშვეს **გიორგი ქარქუზაშვილი, რომან გოგინაშვილი, ნოდარ ნოზაძე** და **ილია ლომიძე**. „დილას" ახალ მეპატრონეთა მხრიდან კლუბის გაძლიერებას და სტადიონის განახლებას, რა თქმა უნდა, ყველა მიესალმება. მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას უფრო ძლიერი ფეხბურთელები სჭირდება, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ ქომაგთაგან ცოტა არ არის ისეთი, ვისაც შემადგენლობაში ადგილობრივი კადრის სიმცირე აწუხებს. ცოტა ხნის წინათ ინტენსიურად ალაპარაკდნენ გორში კიდევ ერთი კლუბის შექმნაზე, რომელშიც ადგილობრივ ფეხბურთელებს შეკრებდნენ. ეს „დილას" დირექტორმა **ზურაბ დალაქიშვილმა** და შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია რევაზიშვილმაც** დაგვიდასტურეს. მათი აზრით, შექმნილ ვითარებაში ეს იქნებოდა კარგი გამოსავალი, თუმცა რამდენად განხორციელებადია, ვერ ამბობენ. დღეს უკვე იმაზე ლაპარაკობენ, რომ ამ ეტაპზე, რეალობიდან გამომდინარე, მაქსიმუმ მეორე ლიგაში მოასპარეზე გუნდის შექმნა თუ მოხერხდება, ისიც - ერთ-ერთი ადგილობრივი კერძო საფეხბურთო სკოლის ბაზაზე. გაურკვეველია დაფინანსების საკითხი. როგორც ჩანს, უგუნდოდ დარჩენილებს ალბათ, სხვაგან წასვლა მოუწევთ. *„მართალია ჯერ გათავისუფლების ფურცელიც არ წამომიღია, მაგრამ ეს უფრო ფორმალობაა. გვითხრეს, რომ თავისუფლები ვართ. შევეცდები უმაღლესი ან პირველი ლიგის რომელიმე კლუბში განვაგრძო თამაში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასე ფიქრობენ სხვებიც"* — გვითხრა **გივი ქარქუზაშვილმა**, რომელიც პირველ წრეში „დილას" კაპიტანი გახლდათ. უგუნდოდ დარჩენილმა ზოგიერთმა მოთამაშემ მწვრთნელობა დაიწყო. გაზაფხულზე „ც" კატეგორიის ლიცენზიის მოსაპოვებელი კურსები წარმატებით გაიარეს ძმებმა, **დათო** და **კობა ხანიშვილებმა** და **ლაშა ბალიაშვილმა**. დათო ხანიშვილი კი ახლა უკვე „ბ" ლიცენზიის მოსაპოვებელ კურსებზეა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

## განცხადება

საფეხბურთო კლუბი „აეტი" აცხადებს კონკურსს მთავარი მწვრთნელის ასისტენტების ვაკანსიებზე.

პროფესიონალური ფეხბურთელების სათამაშო სტაჟის მქონე კონკურსანტების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს და მათ მინიჭებული უნდა ჰქონდეთ C ან B კატეგორიის ლიცენზია.

კონკურსზე დაშვებულებმა აუცილებლად უნდა გაიარონ „აეტი"-ს კლუბში სპეციალური 2-თვიანი თეორიული (გუნდის სტრატეგია, ტაქტიკა და მეთოდოლოგია) და პრაქტიკული მომზადება, რის შემდეგ შერჩევა 6 ასისტენტი 1 ლიგის, დუბლშემადგენლობის (15, 16 წლის) და უმცროსი ასაკის (12, 13, 14 წლის) გუნდებთან სამუშაოდ.

საკონტაქტო ტელ: 2223386, 591242786.

ბაიერნი



# პეპე, არაფერი არ ვიცი

## არადა, ბაიერნში ნომერ პირველი კანდიდატია

ხოსეპ გვარდიოლა ბაიერნის სამიზნეა

**სანამ გაირკვევა, ეს მხოლოდ სპეკულაციაა, უცეცხლო კვამლი თუ უბრალოდ ოფიციალურად დაუდასტურებული, მაგრამ გადაწყვეტილი ამბავი, უმჯობესია, ამ თემაზე საუბარი ფაქტებით დავიწყოთ.**

**უპირველესი და უმთავრესი ფაქტი ის არის, რომ მიუნხენის „ბაიერნს" მომავალ სეზონშიც იუპ ჰაინკესი უთავკაცებს. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეს 67 წლის „დონ იუპის" მორიგ მიუნხენურ კარიერაში ბოლო სეზონი იქნება. „ბაიერნის" ხელმძღვანელებს და ზოგადად გერმანელებს საქმის ბოლო მომენტამდე მიყვანა და ცაიტ ნოტსა თუ ფორს მაჟორში მუშაობა არ სჩვევიათ, რაც კიდევ ერთ ფაქტს წარმოქმნის: რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ახლავე ეძებენ იმ მწვრთნელს, რომელსაც გუნდი 2013 წლის ზაფხულიდან, ანუ ზუსტად ერთი წლის შემდეგ უნდა ჩააბარონ. ამ დღეებში ყველა გერმანული და ესპანური გაზეთი წერს იმის შესახებ, რომ „ბარსელონადან" წასული ხოსეპ გვარდიოლა „ბაიერნში" დანიშვნის უმთავრესი კანდიდატია, რაც ნამდვილად ნიშნავს იმას, რომ ბავარიული გრანდის შეფები 41 წლის პეპზე, როგორც მინიმუმ, სერიოზულად ფიქრობენ - ესეც კიდევ ერთი ფაქტი. ბევრი ფიცი-მტკიცი არც იმას სჭირდება, რომ გვარდიოლა ნაღდად არის იმ ფორმატისა და დონის მწვრთნელი, რეკორდმაისტერი რომ ჩააბარონ.**

**თუმცა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად დადასტურებამდე) სავარაუდოდ ჯერ ძალიან ადრეა, რადგან გვარდიოლამ ყველას გასაგონად თქვა, დიდხანს უნდა დავისვენოო და ამავე ზაფხულიდან რომელიმე კლუბის გაწვრთნა კატეგორიულად გამორიცხა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პეპი ერთი წელი დაისვენებს. გვარდიოლა ხუთშაბათს თელ ავივში გახლდათ, სადაც თავისი ძმაკაცის, ხუან მანუელ სერატის კონცერტს დაესწრო, ათი დღის წინ კი ბარსელონაში გამართულ საქველმოქმედო ტურნირში (შიდსით ინფიცირებულთა დასახმარებლად) მიიღო მონაწილეობა. მოკლედ, პეპს ბევრი თავისუფალი დრო აქვს და ცხოვრებით ტკბება.**

### პეპს ჯერ არაფერი აინტერესებს

მის მომავალ სამსახურზე კი სხვები ფიქრობენ და ზრუნავენ. მათ შორისაა „ბაიერნიც", რომელსაც ახალი მწვრთნელი 2013 წლის ზაფხულიდან დასჭირდება. რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ული ჰოენესმა** თქვა, გაისად სავარაუდოდ ახალი მწვრთნელი გვეყოლებაო და ერთი წლით ადრე ნათქვამი სიტყვა „სავარაუდოდ" შეგვიძლია, „100-პროცენტიანად" მივიჩნიოთ – უბრალოდ, ულიმ თავი დაიზღვია იმ შემთხვევისთვის, თუ „ბაიერნისთვის" შესაფერის სპეციალისტს ვერ დაითანხმებს.

„კიკერის" ცნობით, ფაქტია ისიც, რომ „ბაიერნის" ბოსები გვარდიოლაზე მართლაც სერიოზულად ფიქრობენ. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ხმები, რომ რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** მადრიდში, ესპანეთის თასის ფინალის დროს პეპის ძმასა და მრჩეველ **პერე გვარდიოლას** შეხვდა, მაგრამ „კიკერის" ინფორმაციით, მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა – კრისტიანმა და პერემ უბრალოდ ტელეფონის ნომრები გაცვალეს.

„კიკერმა" ისიც გამოარკვია, რომ გვარდიოლას ერთ-ერთ მრჩეველ **ხოსე მარია ორობიტგს**, რომელიც პეპს იმ დროიდან აძლევს რჩევებს, როცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ 17 წლის იყო, მისთვის უკითხავს, რას აპირებ. ცხადია, „კიკერისთვის" ცნობილი გახდა გვარდიოლას პასუხიც: *„არც ერთ კლუბთან მოლაპარაკებები არ დამიწყია. ამისთვის ჯერ მზად არ ვარ."*

ორობიტგის თქმით, პეპმა ჯერ ისიც კი არ იცის, რას იზამს მომავალი წლის დასაწყისში. იგი ადასტურებს, რომ გვარდიოლას გადაბირების სურვილი უკვე ექვსმა გრანდმა გამოთქვა, მაგრამ გვარდიოლამ კონკრეტული მოლაპარაკებების გამართვა არც ერთთან არ ისურვა.

*„ჩემი ვარაუდით, გვარდიოლა მოლაპარაკებებისთვის მზად მხოლოდ 2013 წლის თებერვალში ან მარტში იქნება, მანამდე კი კარგად დაისვენებს. მეტიც, პეპმა კლუბებთან ნებისმიერი სახის კონტაქტი ამიკრძალა და მითხრა, არ მინდა, თუნდაც უბრალო შეხვედრამ სპეკულაციები გამოიწვიოსო, მაგრამ ეს ძალიან ძნელია, რადგან კლუბების ხელმძღვანელებს ძალაუნებურად ვხვდები ხან სად და ხან სად. შესაბამისად, ჭორებიც ვრცელდება ხოლმე,"* - უთხრა ორობიტგმა „კიკერს".

### მარტინესის ტრანსფერი იჩარხება

საქმე ისაა, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, „ბაიერნი" 2013 წლის მარტამდე ვერ მოითმენს. მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს გვარდიოლა ძალიან მოსწონთ და მის დანიშვნაზე ოცნებობენ, მინიმუმ წლის ბოლომდე მოისურვებენ ყველაფერის გარკვევას.

„კიკერი" წერს, რომ ჰოენესმა ნერლინგერს მისია „პეპ გვარდიოლა" დააკისრა და კრისტიანსაც კონკრეტული გეგმა აქვს, თუ როგორ უნდა დაითანხმოს „ბარსას" ყოფილი დამრიგებელი. ხსენებული გამოცემა იმასაც გვაუწყებს, რომ ჰოენესმა და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ნერლინგერს **ხავი მარტინესის** და **ედინ ჯეკოს** მიუნხენურ კლუბში გადაყვანაც დაავალეს და ნერლინგერი ამ ტრანსფერებზეც მუშაობს.

### გადაიხდის ბაიერნი 40 მილიონს?

თუ „ბაიერნი" ბილბაოს „ატლეტიკის" უნიჭიერესი უკანახაზელის გადაბირებას მოახერხებს, დიდია შანსი, რომ ეს უკანასკნელი ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული ახალწვეული გახდეს, რადგან ბასკები მარტინესს 40 მილიონ ევროდ აფასებენ. სხვათა შორის, ამჟამინდელი რეკორდიც „ბაიერნს" ეკუთვნის – რეკორდმაისტერმა 2009 წელს „შტუტგარტს" **მარიო გომესის** სანაცვლოდ 35 მილიონი გადაუხადა.

ახლა კი მიუნხენერი „თაგესცაითუნგი" წერს, რომ რეკორდმაისტერი მზადაა, „ბილბაოს" 23 წლის ხავი მარტინესის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაუხადოს. ხსენებული გამოცემიც მტკიცებით, ბავარიელებმა „ბილბაოს" და ფეხბურთელს უკვე კონკრეტული წინადადებებითაც მიმართეს. ესპანურ მედიაში ვკითხულობთ, რომ „ბაიერნი" მზადაა, მარტინესს ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს და წელიწადში 7 მილიონი უხადოს.

**გოტფრიდ ლენცი**

# ევრო 2012

საინტერესო საკითხავი

# ბერძნები იგინებიან, ეწევიან და ყავით სკდებიან!

## ბილდის რეპორტიორმა საბერძნეთის ნაკრების სასტუმროში იჯაშუშა


ბერძნები სასტუმროში

**დღევანდელი** **მეოთხედფინალური მატჩის წინ, რომელშიც ერთმანეთს გერმანიისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები ხვდებიან, გაზეთმა „ბილდმა" ძალიან საინტერესო რამ მოიფიქრა: გერმანულმა ტაბლოიდმა საბერძნეთის ნაკრების სასტუმროში ჯაშუშის სტატუსით გაგზავნა თავისი რეპორტიორი, რომლის სახელი და გვარი განგებ არ სახელდება. ეს უკანასკნელი ბერძენ ფეხბურთელებს და მწვრთნელს ერთი დღე-ღამის განმავლობაში აკვირდებოდა და მერე აი, ასეთი სტატია დაწერა:**

საკუთარი თავი „აგენტი 007" მგონია. რედაქციაში საბერძნეთის ნაკრების სასტუმროში ღამის გათენება და გერმანიის ნაკრების მეტოქის შტაბის წევრებზე დაკვირვება დამავალეს, რაც საკმაოდ რთული მისიაა, რადგან არავინ უნდა გაიგოს, რომ ჟურნალისტი ვარ. სასტუმროში შესვლა და ცხოვრება პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ბერძნები ეკონომ-ოტელში ცხოვრობენ.

ეს არის 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო „ვარშავიანკა", რომელიც პოლონეთის დედაქალაქიდან 38 კილომეტრში მდებარეობს. სწორედ აქ ემზადებიან ბერძნები გერმანიასთან მატჩისთვის და მე, „ბილდის" კორესპონდენტმა აქ ერთი ღამე უნდა გავათენო – ჩვენს მეტოქეს დავაკვირდე და გავიგო, როგორ იქცევიან ბერძნები, რას ეუბნებიან ერთმანეთს და ასე შემდეგ.

სასტუმროს ნომერი სამშაბათს ავიღე: ჩემი ორადგილიანი ნომერი ერთი ღამით 93 ევრო ღირს, რაც ძალიან იაფია იმის კვალობაზე, რომ აქ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მონაწილე გუნდი ცხოვრობს. როგორც ჩანს, ბერძნები ამ ბოლო დროს ფულის დაზოგვაზე მართლა სერიოზულად ფიქრობენ.

საბერძნეთის ნაკრებს ამ სასტუმროში 15 სართული აქვს აღებული და თითოეულ სართულს უსაფრთხოების სამსახურის 2-2 წარმომადგენელი იცავს. შევიტყვე, რომ სასტუმროს იმ ნაწილში თავისუფალი ოთახებია და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ბერძნების ნაწილში შემეღწია. პრეტენზიამ იმის შესახებ, რომ აივანი მჭირდებოდა, გაჭრა – აივნებიანი ნომრები მხოლოდ იმ განყოფილებაშია და ბევრი ფიქრისა და 9 ევროთი მეტის გადახდის შემდეგ ნომერი მომცეს. გამიმართლა: ჩემი ნომერი საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ფერნანდუ სანტუშის** ნომრის გვერდით აღმოჩნდა! ამრიგად, ბერძნების 57 წლის მწვრთნელი ახლა ჩემი მეზობელია!

ჩემი აივნიდან ვხედავ, როგორ ეწევა სანტუში სიგარეტს თავის აივანზე. მოსწია, ჩააქრო. მეორეს მოუკიდა, მოსწია, ჩააქრო! მესამეს მოუკიდა, მოსწია, ჩააქრო – ზედიზედ სამი ღერი! ყოჩაღ, ფერნანდუ! ისიც გავიგე, რომ სანტუში თურმე მატჩის დროს, შესვენებაზე გასახდელში ეწევა ხოლმე.

ბერძნების ბანაკში ყველაზე ბევრს ყავის აპარატი შრომობს. სულ ორი აქვთ და არც ერთი არ ჩერდება. ერთ აპარატს „კაპუჩინოსა" და „მაჩატოს" ჩამოსხმა შეუძლია, მეორე კი ჩვეულებრივ „ამერიკანოს" აკეთებს – ბერძნები ყავით სკდებიან!

თითოეული ფეხბურთელის სახე შევისწავლე, მაგრამ მათი ცნობა მაინც არ გამიჭირდებოდა – უმრავლესობას ხომ ლურჯ-თეთრი სპორტულები აცვია და უმეტესობა 3-4 დღის გაუპარსავია. როგორც ჩანს, წვერის გაპარსვას მანამდე არ აპირებენ, სანამ ევროპის ჩემპიონატიდან არ გავარდებიან.

**თეოფანის გეკასი** ყურსასმენებს არ იშორებს. ბერძნების 32 წლის თავდამსხმელი სულ მუსიკას უსმენს და მღერის კიდეც – სხვათა შორის, არც ისე უხეიროდ.

მობილური ტელეფონით ფეხბურთელებს ფოტოებს ვუღებ და უცებ, ვიღაც მხარზე ხელს მირტყამს – მოვტრიალდი, ბარმენია. მეკითხება ვინ ხარო? – ნუთუ სტომატოლოგის ჩაცმულობამ (თეთრი პერანგი, თეთრი შარვალი, თეთრი სპორტული ფეხსაცმელი) გამთქვა? ოფლმა დამასხა, მაგრამ ნერვიულობა არ შევიმჩნიე და წინასწარ მოფიქრებულ სტრატეგიას მივმართე: „ნე პონიმაიუ!" შტო, შტო?" - ვითომ რუსი ვარ, რადგან ვიცი, რომ აქ რუსებს ვერ იტანენ, ბარმენია და შემეშვება. ასეც მოხდა, გადავრჩი!


სანტუში ღერ სიგარეტს სიგარეტზე ეწევა

უცებ ფოიეს შორეული კუთხიდან ღრიალი მესმის. მივედი და რას ვხედავ – **გიორგოს კარაგუნისი** ტელეფონზე ლაპარაკობს, უმაღლეს ხმაზე გაჰყვირის, ღრიალებს და აშკარად ილანძღება. ბერძნების 35 წლის კაპიტანი ყველაზე ხშირად სიტყვა „მალაკა-ს" ხმარობს – ბერძენმა მეგობარმა მითხრა, „მალაკა" გერმანულად დაახლოებით ასე ითარგმნებაო: „მაკოცე უკანალზე!"

საღამოს პარკში გავისეირნე და თვალში **გიორგოს სამარასის** პომპეზური ქცევა მომხვდა – აშკარად ეტყობა, რომ ამ ტიპს საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს და გუნდში საუკეთესოდ მიაჩნია.

სხვა მხრივ, შევამჩნიე, რომ ბერძენ ფეხბურთელებს ერთმანეთი უყვართ და პატივს სცემენ. პარკში ხელიხელგადახვეულები დასეირნობენ, ბევრს ლაპარაკობენ, იცინიან, ერთობიან და ხალისობენ.

...და იცით, რა ხდება ღამით? ვინც ფიქრობს, რომ ბერძნები მთელი ღამე აქეთ-იქით დაეხეტებიან, სასტიკად ცდება! 00:00-ის შემდეგ ფოიეში არცერთი ბერძენი აღარ გამოჩენილა! ღამის პირველ საათამდე იქ ვიყავი და ბერძენის ჭაჭანებაც არ მინახავს! აი, მესმის დისციპლინა და გაგება! ზემოთ ავედი და ყავის აპარატიც დასვენებული დამხვდა...

**გოტფრიდ ლენცი**

[illegible]

# [illegible] ათიანი ზლატანია

## ზე გუნდს დაემშვიდობა

**კლარენს ზეედორფი** "მილანის" გულშემატკივრებმა ჯერ კიდევ მაისში გამოიტირეს, მაგრამ როგორც გუშინ გაცხადდა, 36 წლის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ლომბარდიის დედაქალაქიდან აბარგების შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილება სულ ახლახან მიიღო – მოვუსმინოთ ზეს და ყველაფერში უკეთ გაერკვევით:

*"მილანში დარჩენა კიდევ ერთი წლით შემეძლო და ამაზე დიდხანს ვიფიქრე, თუმცა რამდენიმე დღის წინ, საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ "მილანს" ვტოვებ და ბრაზილიაში მივემგზავრები. იტალიაში 13 დაუვიწყარი წელიწადი გავატარე და ეს პერიოდი ყოველთვის კარგად გამახსენდება. შეუძლებელია დაივიწყო "მანჩესტერ იუნაიტედთან" მოგებული შეხვედრა, როდესაც მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გავუტანეთ და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით. რამდენი ასეთი მატჩი იყო, მართლაც დაუვიწყარი და ძალიან ძვირფასი. დიდი მადლობა ყველას, ვინც მთელ ამ პერიოდში გვერდში მედგა და ვინც უბრალოდ მგულშემატკივრობდა; ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თითოეულ ტიფოზთან ვალში ვარ და ამ ვალიდან ვერასდროს ამოვალ – მათ ხომ სრულიად უანგაროდ უხაროდათ თითოეული ჩემი გოლი და ჩემი წარმატება".*

ჟურნალისტებთან საუბრის ბოლოს, კლარენს ზეედორფმა მეტად საინტერესო ამბავი გაამხილა და დავუბრუნოთ მას სიტყვა: *"ბოლო წლებში, "მილანის" 10-ნომრიან მაისურს ვატარებდი და ეს გამორჩეული ნომერი მანუელ რუი კოშტასგან მხვდა წილად. ბევრი ვიფიქრე, ვისთვის შემეთავაზებინა ათიანი და ჩავთვალე, რომ ამას ყველაზე მეტად ზლატან იბრაჰიმოვიჩი იმსახურებს – იბრას უკვე ვესაუბრე ამ თემაზე და დიდი სიამოვნებით დამთანხმდა. დარწმუნებული ვარ, რომ ზლატანი 10 ნომერს ღირსეულად ატარებს".*

**ლაშა ნიკლაური**


კლარენს ზეედორფმა 10 ნომერი ზლატან იბრაჰიმოვიჩს გადაულოცა

ტრაგედია

# პირველი მსხვერპლი

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშში, მდინარე ბრდიდან მყვინთავებმა 21 წლის ირლანდიელი ფანის გვამი ამოიტანეს. წინასწარი ვარაუდით, ის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. *"დათვალიერების შემდეგ პიროვნების ვინაობა იოლად დადგინდა. მას საბუთები, ფული და მობილური ტელეფონი თან ჰქონდა. გვამზე ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება,"* – აცხადებს ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი **ვლადიმირ მარშალოვსკი**. ეს პიროვნება უკანასკნელად შაბათი-კვირის ღამეს ნახეს. პოლიცია კი მას ორშაბათიდან ეძებდა. აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ მიუხედავად ქართულ მასმედიაში ატეხილი აჟიოტაჟისა, ეს არის პირველი მსხვერპლი ჩემპიონატის მიმდინარეობისას.

**ლევან ბიბილაშვილი**

ევრო 2012 ინგლისის ნაკრები

# მზადება პენალტებისთვის

### პენალტები, პენალტები...

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **როი ჰოჯსონის** თქმით, მისი გუნდი იტალიასთან 1/4-ფინალში ყველაფრისთვის მზადაა, მათ შორის პენალტების სერიისთვისაც. *"ვარჯიშების დასრულების შემდეგ პენალტების დარტყმაში ვვარჯიშობთ. თამაშამდე დარჩენილ პერიოდში ამ კომპონენტს კიდევ უფრო დიდ ყურადღებას მივაქცევთ, თუმცა არც იმას ვაპირებთ, რომ გონების დაკარგვამდე ვურტყათ. ვიმედოვნებთ, რომ საჭირო მომენტში ეს შედეგს მოიტანს. სიმშვიდე, საკუთარი ძალების რწმენა, იმის უნარი, რომ გარშემო არაფერს ყურადღება არ მიაქციო – აი, რაზეა დამოკიდებული, გაიტან თუ არა პენალტს. რამდენჯერ გვინახავს, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს გაუფუჭებიათ, მათ კი ვინც საშტატო პენალტისტებად არ მიიჩნევდნენ, გაუტანიათ,"* – აცხადებს ჰოჯსონი.


უეინ რუნის ინგლისელები დიდ იმედებს უკავშირებენ

### უოლკოტი: თუკი კარგად ვითამაშებთ...

"სამი ლომის" ნახევარმცველ **ტეო უოლკოტს** უკვე აღარაფერი აწუხებს და იმედი აქვს, რომ მთავარი მწვრთნელი ჩემპიონატზე სასტარტოში პირველად მისცემს თამაშის საშუალებას. აი, რას ამბობს ის იტალიასთან თამაშის შესახებ: *"თქვენ გაინტერესებთ, გვინდოდა თუ არა ესპანეთთან თამაშის თავიდან აცილება? ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ამ ეტაპზე არც ერთ მეტოქესთან შეხვედრა არ არის იოლი. რა თქმა უნდა რთული მატჩი გველის იტალიასთანაც, მაგრამ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია მათი გამოგდება. თუკი კარგად ვითამაშებთ, ტურნირზე დარჩენილი თითოეული გუნდის დამარცხებას შევძლებთ".*

### ქალაქელები ბალოტელის აქებენ

"მანჩესტერ სიტისა" და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები მოუთმენლად, თუმცა რიდით ელოდებიან მინდორზე **მარიო ბალოტელისთან** შეხვედრას. *"ბალოტელის შეუძლია მეტოქეს დიდი პრობლემები შეუქმნას. მარიო ძალიან მოხერხებული, ძლიერი, სახიფათო და ჭკვიანი თავდამსხმელია. არსებობს ორი მარიო. ერთი ვარჯიშებზე ხანდახან გაუგებარ რამეებს აკეთებს. ის ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ მეორე მხრივ დიდი პოტენციალის პატრონია და უმაღლეს დონეზე შეუძლია თამაში. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისთან ის მოწოდების სიმაღლეზე იქნება, თუმცა ჩემპიონატზე ჩვენი მცველები ჯერჯერობით მშვენივრად თამაშობენ,"* – განუცხადა "სქაი სპორტს" **ჯეიმს მილნერმა**. **ჯო ჰარტი** კი დარწმუნებულია, რომ მის იტალიელ თანაკლუბელს **ჯოლეონ ლესკოტის** წინააღმდეგ თამაში გაუჭირდება: *"მარიო ტოპკლასის ფეხბურთელია, თუმცა ჩვენ ძალიან ძლიერი დაცვა გვყავს. ლესკოტმა ბალოტელის სათამაშო სტილი მშვენივრად იცის, რადგან ყოველდღე მასთან ერთად ვარჯიშობს. დარწმუნებული ვარ, რომ მას 100%-ით გაუმკლავდება. თუმცა ეს იტალიის ნაკრებია და მარტო მარიო არ არის სახიფათო. "აძურას" კიდევ ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი ჰყავს. მათ წინააღმდეგ ზუსტად ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც გვჩვევია".*

### რუნი და შირერი იტალიაზე

იტალიის ნაკრებზე მოწიწებით ლაპარაკობს კუნძულელთა ლიდერი **უეინ რუნიც**: *"ძალიან რთული მატჩი გველის. გამარჯვებისთვის ჩვენი საუკეთესო ფეხბურთის ჩვენება მოგვიწევს. ჩვენი და მათი თამაში ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. მეტოქის რიგებში ცალკე უნდა გამოვყო ანტონიო კასანო და მარიო ბალოტელი. მათ პირადად შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა. ძალიან ძლიერია ანდრეა პირლოც".*

რუნიზე საინტერესო კომენტარი გააკეთა ინგლისის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა **ალან შირერმა**. მას დიდი იმედი აქვს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ნაკრებში გატანილი ბურთების მისეულ შედეგს წლის ბოლომდე გააუმჯობესებს. ლეგენდარული "კაჭკაჭის" ანგარიშზე 63 შეხვედრაში 30 გოლია. რუნის კი უკვე 26 გოლი აქვს გატანილი. *"უეინს ჩემზე ოთხით ნაკლები აქვს გატანილი და იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში გადამისწრებს. პირველ ადგილზე, სერ ბობი ჩარლტონია. ვფიქრობ, რუნის შეუძლია 49 გოლზე მეტის გატანა და პირველ ადგილზე გადასვლა. უეინმა უკრაინასთან საუკეთესო ფეხბურთი ვერ აჩვენა, მაგრამ მაინც გაიტანა. მისი დონის თავდამსხმელისგან ეს მოსალოდნელიც კია. მასპინძლებთან მან შეიგრძნო ტურნირის ატმოსფერო. იტალიელებთან კი მისგან საუკეთესო ფეხბურთს ველოდები,"* – აცხადებს შირერი.

### კუნძულელთა პრობლემები

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა **ეშლი იანგმა** უკრაინასთან მუხლის ტრავმა მიიღო და არის შანსი, რომ 1/4-ფინალური მატჩი გამოტოვოს. შეძლებს თუ არა ის მოედანზე გამოსვლას, ეს მხოლოდ ორშაბათ დილას გადაწყდება.

დაბოლოს, უეფას გადაწყვეტილებით, ინგლისი-შვედეთის მატჩზე კუნძულელთა ფანების მიერ **დენი უელბეკის** გოლისას მოედანზე გადაჭრის მცდელობის გამო საფეხბურთო ასოციაცია 5 ათასი ევროთი დაჯარიმდა. გადაწყვეტილების გასაჩივრება უახლოესი 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.

**ლევან ბიბილაშვილი**

1/4 ფინალი. წინათქმა

# ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 22.06. გდანსკი. არენა გდანსკი 22:45 | |
|---|---|
| **გერმანია** | **საბერძნეთი** |
| **სავარაუდო შემადგენლობები** | |
| ნოიერი | სიფაკისი |
| ბოატენგი | ტოროსიდისი |
| ჰუმელსი | კ. პაპადოპულოსი |
| ბადშტუბერი | პაპასტატოპულოსი |
| ლამი | ცაველასი |
| ხედირა | კაცურანისი |
| შვაინშტაიგერი | მანიატისი |
| მიულერი | სალპინგიდისი |
| იოზილი | ფოტაკისი |
| პოდოლსკი | სამარასი |
| გომესი | გეკასი |
| **ტრავმა** | |
| არავინ | ქალკიასი |
| **დისკვალიფიკაცია** | |
| არავინ | ოლებასი, კარაგუნისი |
| **მსაჯი** | |
| დამირ სკომინა (სლოვენია) | |

### ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| **გერმანია** | VS პორტუგალია | 1:0 |
| | VS ჰოლანდია | 2:1 |
| | VS დანია | 2:1 |

**მეკარე:** *მანუელ ნოიერი (3 თამაში)*
**მცველები:** *მატს ჰუმელსი (3), ჰოლგერ ბადშტუბერი (3), ფილიპ ლამი (3), ჯერომ ბოატენგი (2).*
**ნახევარმცველები:** *ლარს ბენდერი (3, 1 გოლი), ტონი კროოსი (3), სამი ხედირა (3), ბასტიან შვაინშტაიგერი (3), თომას მიულერი (3), ანდრე შიურლე (1).*
**თავდამსხმელები:** *მარიო გომესი (3, 3), ლუკას პოდოლსკი (3, 1), მიროსლავ კლოზე (3).*

### პორტუგალია

| | | |
|---|---|---|
| **საბერძნეთი** | VS პოლონეთი | 1:1 |
| | VS ჩეხეთი | 1:2 |
| | VS რუსეთი | 1:0 |

**მეკარეები:** *კოსტას ქალკიასი (2 თამაში), მიხალის სიფაკისი (2).*
**მცველები:** *კირიაკოს პაპადოპულოსი (3), ვასილის ტოროსიდისი (3), ხოსე ოლებასი (3), სოკრატის პაპასტატოპულოსი (2), გიორგოს ცაველასი (1).*
**ნახევარმცველები:** *გიორგოს კარაგუნისი (3, 1 გოლი), იანის მანიატისი (3), კოსტას კაცურანისი (3), სოტირის ნინისი (2), კოსტას ფორტუნისი (2), გრიგორის მაკოსი (1), გიორგოს ფოტაკისი (1).*
**თავდამსხმელები:** *დიმიტრის სალპინგიდისი (3, 1), ტეოფანის გეკასი (3, 1), გიორგოს სამარასი (3), კოსტას მიტროგლუ (1).*

### ურთიერთშეხვედრები

**8 თამაში**

**5 გერმანია, 3 ფრე, ბურთები 17-7 (გერმ.)**

**ბოლო დაპირისპირება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.03. 2001 | საბერძნეთი-გერმანია | 2:4 | მუნდიალი 2002, საკვ. |

■ ბერძნები პირველად გერმანელებს (გფრ-ის ნაკრებს) 52 წლის წინათ ეთამაშნენ, თუმცა ჯერ ვერ მოუხერხებიათ მათი დამარცხება.

■ ბერძნები გდრ-ის ნაკრებსაც ეთამაშნენ, 7 შეხვედრიდან ორი კი მოუგეს, მაგრამ დანარჩენი წააგეს.

■ ამ ორი გუნდის ბოლო დაპირისპირებიდან 11 წელზე მეტი გავიდა, თუმცა საბერძნეთის ნაკრებში ორი ფეხბურთელი ირიცხება მაშინდელი გუნდიდან: გიორგოს კარაგუნისი და ნიკოს ლიბეროპულოსი.

# ბერძნული ოდისეა: STOP მესუთ იოზილი

## ვინ გააჩერებს გომესს?

დღეს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი გერმანია პლეი ოფის პირველ მატჩს იმ ქალაქში გამართავს, რომელიც ისტორიულად გერმანელების აშენებულია - გდანსკში (დანციგი გერმანულად) იოახიმ ლიოვი საბერძნეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. სპეციალისტები ერთხმად თანხმდებიან, რომ ეს წყვილი ევრო 2012-ის მეოთხედფინალებში ყველაზე არათანაბარია. ისტორიას კიდევ ერთხელ ვახსენებთ, ოღონდ საფეხბურთოს, ურთიერთშეხვედრების ისტორიაც ფავორიტის მხარესაა.

### პრესკონფერენცია

#### იოახიმ ლიოვი

ნაკრებში კარგი განწყობაა, ყველანი მომავალ მატჩზე ვფიქრობთ. რამდენიმე კვირა აქ ვიყავით დაბანაკებულნი. ასე რომ, ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს, შინ ვთამაშობთ. საბერძნეთის ნაკრებმა ტურნირზე დიდებული გზა განვლო, მე ვიტყოდი, გმირულიც. მეტოქე დინამიკური გუნდია, რომელიც დაცვაში ძალიან კარგად ირჯება.

ბასტიან შვაინშტაიგერი აუცილებლად ითამაშებს, მას კოჭი აწუხებდა და ვარჯიშებზე ბოლომდე ვერ იხარჯებოდა ბოლო დღეებში, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა.





#### ფერნანდუ სანტუში

არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ხვალ ვეთამაშებით არა მხოლოდ წყვილის ფავორიტს, არამედ - მთელი ტურნირისას. გერმანია მოგების უპირველესი კანდიდატია, მაგრამ ჩვენ აქ დასასვენებლად არ ჩამოვსულვართ. ჩვენ მიზნები დავისახეთ და მათ მისაღწევად ცდას არ დავიშურებთ. ხვალ ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვნახოთ, რა გამოგვივა. ყველა, ვინც თამაშში ჩაებმება გერმანელებთან საბრძოლველად 100%-ით იქნება მზად.



გერმანელები შესანიშნავ განწყობაზე არიან

### კლოზე?

5 გამარჯვება და 3 ფრე, ასეთია გერმანელთა მონაგარი ბერძნებთან მატჩებში, რომელიც აგერ უკვე 52-წლიან ისტორიას ითვლის. მოკლედ, გერმანელებს ჯერ ერთხელაც არ წაუგიათ ელინებთან და ეს სერიოზული ფსიქოლოგიური უპირატესობაა, ყველა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ.

აი, ისინიც: გერმანიის ნაკრები ზოგადად უკეთესი გუნდია, ვიდრე **ფერნანდუ სანტუშისა**, უფრო ახალგაზრდული და შესაბამისად უფრო სწრაფიცაა. პლუს ამას მეტოქეს საკადრო პრობლემები აქვს, როცა გერმანიის ბანაკში სრული იდილიაა.

არც **იოახიმ ლიოვს** აკლია საფიქრალი, თუმცა ეს უფრო შიდა კონკურენციის გაზრდითაა გამოწვეული.

დანიასთან მატჩში **ჯერომ ბოატენგმა** დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა და ის ლიოვმა **ლარს ბენდერით** შეცვალა, რომელსაც ამ პოზიციაზე მანამდე არ უთამაშია. თუმცა რისკი გამართლებული აღმოჩნდა, ლევერკუზენელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში და გამარჯვების გოლიც მან გაიტანა. ახლა კი ლიოვი დილემის წინაშე დადგა, მაგრამ ჯერომ ბოატენგმა ისე ვირტუოზულად გამოთიშა თამაშიდან **კრიშტიანო რონალდო**, რომ, ვფიქრობთ, საბოლოოდ მწვრთნელი მაინც მას ენდობა.

გერმანულ პრესაში იწერება, რომ, შესაძლოა, ლიოვმა სასტარტოში **მიროსლავ კლოზე** დააყენოს. ამ შემთხვევაში **მარიო გომესი** 11-ეულს მიღმა რჩება. მოვლენების ასეთი განვითარება კი ნაკლებად სავარაუდო გვგონია. ბოლოს და ბოლოს გომესი 3 გოლით ბომბარდირთა შორისაა და ჯგუფური ეტაპის ორი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა.

### კაპიტნის გარეშე ბალტიურ ნაოსნობაში

საბერძნეთის ნაკრების თამაშს ჯგუფურ ეტაპზე საოცარი ისტორია ჰქვია - ელინთა გუნდი სამიდან ორ შეხვედრაში დაჩაგრეს მსაჯებმა და სწორედ ამ ორ შეხვედრაში მიაღწია პოზიტიურ შედეგს. საბერძნეთი მეოთხედფინალშია, მაგრამ ეს მას დიდ ფასად დაუჯდა - ფერნანდუ სანტუშს ორი ძირითადი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული, ორი კი - ტრავმირებული. რუსებთან მატჩში გუნდის კაპიტან **გიორგოს კარაგუნისს** სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი მისცეს, ეს მისთვის მეორე იყო და ევროპის 2004 წლის ჩემპიონი გერმანიასთან მატჩს გამოტოვებს. ორი ყვითელი აქვს მარცხენა მცველ **ხოსე ოლებასსაც**, ხოლო მეკარე **კოსტას ქალკიასი** გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს, კარში ისევ **მიხალის სიფაკისი** ჩადგება. სხვათა შორის, გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი აკლია, მაგრამ უკვე რამდენიმე დღეა, რაც **ავრაამ პაპადოპულოსი** პოლონეთში აღარაა, მისთვის ჩემპიონატი დაწყებისთანავე დასრულდა.

### მთავარი დუელი

#### მარიო გომესი VS სოკრატის პაპასტატოპულოსი

მარიო გომესი მეტოქე გუნდისთვის მთავარი საფრთხეა. ვინ დაიჭერს „ბაიერნის“ ტანმაღალ ფორვარდს „შალკეს“ 22 წლის მცველი **კირიაკოს პაპადოპულოსი**, თუ „ჯენოას“ 24 წლის სტოპერი **სოკრატის პაპასტატოპულოსი**? სანტუში არჩევანს ალბათ უფრო უკანასკნელზე შეაჩერებს, რომელიც მსაჯმა პირველივე მატჩში გააძევა ევრო 2012-ზე. იოლი საქმე მას არც ამჯერად ელის, გომესი ძალიან სახიფათოა, როგორც საჰაერო ორთაბრძოლებში, ისე „მიწაზე“. ვნახოთ, რა გამოვა აქედან, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანიელმა მცველებმა გომესის განეიტრალება შეძლეს.

ბერძნულ „სპორტდეი“ ორი დიდი ფოტოთი იწონებს თავს - სოკრატისის და გომესის. სათაური კი ასეთია: *„ის შენ უნდა გააჩერო“*. გაზეთთან ინტერვიუში სოკრატისი აცხადებს, რომ პირადად იცნობს გომესს, თანაც საკმაოდ ახლოს: *„მე მისი არ მეშინია, მშვიდად ვარ“*. სხვა გაზეთის, „ლაივ სპორტის“ ჰედლაინი იუწყება: *„გამარჯვების გასაღები: გააჩერეთ მესუთი“*.

დაბოლოს, გუშინ გდანსკში მთელ საღამოს წვიმდა...

### იცით თუ არა, რომ...

■ გერმანელები მეხუთედ არიან ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში მეოთხედფინალში და ყველა წინა შემთხვევაში მათ ფინალში გააღწიეს. ბერძნები მეორედ თამაშობენ მეოთხედფინალში, პირველ შემთხვევაში (2004 წ.) მათ ევროპის ჩემპიონატი მოიგეს.

■ ფერნანდუ სანტუშის ხელმძღვანელობით საბერძნეთის ნაკრებმა 24 თამაშში 21 გოლი გაიტანა. ის შეხვედრები, როცა ბერძნებმა გოლი ვერ გაიტანეს, ნულოვანი ფრით დასრულდა.

■ ამ წყვილის გამარჯვებული ევრო 2012-ის ნახევარფინალში ინგლისი-იტალიის მოგებულს შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



გერმანიის კანცლერი ევრო 2012-ზე პირველად დაესწრება ნაკრების თამაშს

1/4 ფინალი

# ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორი სხვადასხვა წონითი კატეგორია

**მატჩი №25. 25.06. ვარშავა. ნაციონალური სტადიონი**

| ჩეხეთი | პორტუგალია |
|---|---|
| 0 | 1 |

**ჩეხეთი (4-2-3-1):** ჩეხი – გებრე სელასიე, სივოკი, კადლეცი, ლიმბერსკი – ჰიუბშმანი (86. პეხარტი), პლაშილი –იერაჩეკი, დარიდა (61. რეზეკი), პილარი – ბაროში.

**პორტუგალია (4-3-2-1):** რუი პატრისიო – ჟოაო პერეირა, პეპე, ბრუნო ალვეში, ფაბიო კოენტრაო – რაულ მეირელეში (88. როლანდო), ველოზო, მუტინიო – ნანი (84. კუშტოდიო), რონალდო –პოშტიგა (40. ალმეიდა).

**გოლი:** 0:1 რონალდო (79)

**კუთხური:** 6-11; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 2(0)-20(6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**გაფრთხილება:** ლიმბერსკი – ნანი, ველოზო

**არბიტრი:** ჰოვარ უები (ინგლისი)

**მაყურებელი:** 55 590

**ჩეხთა ბოლო ორმა გამარჯვებამ და გამართულმა ფეხბურთმა სპეციალისტებს იმის იმედი გაუჩინა, რომ ეს მეოთხედფინალური დაპირისპირება მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართებოდა და მიხალ ბილეკის გუნდი კრიშტიანო რონალდოსა და კომპანიას ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პორტუგალიამ ნათლად დაამტკიცა, რომ ტყუილად არ განიხილებოდა წყვილის ფავორიტად და საგოლე მომენტების ნაწილი მაინც რომ გამოეყენებინა, სოლიდური ანგარიშით გაიმარჯვებდა. ჩეხეთმა კი ის დაგვიმტკიცა, რომ A ჯგუფის დონე დანარჩენი ჯგუფებისას არათუ მცირედით, არამედ კატასტროფულად ჩამორჩებოდა.**

### ტაქტიკა/სტრატეგია

ნინა დღეებში დიდი სჯა-ბაასი იყო გაჩაღებული იმის შესახებ, შეძლებდა თუ არა ამ მატჩისთვის მომჯობინებას ჩეხთა კაპიტანი **ტომაშ როსიცკი**. როგორც გახსოვთ, მან სამკურნალოდ სამშობლოსაც კი მიაშურა, მაგრამ ექიმთა ყველა მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა – როსიცკი არც ძირითად შემადგენლობაში გვინახავს და, როგორც ჩანს, არც შეცვლაზე გამოსასვლელად იყო მზად. ჩეხეთის ნაკრების მარცხს მის არყოფნას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ფაქტია, რომ აღმოსავლეთევროპელთა შემტევი პოტენციალი როსიცკის გარეშე გვარიანად შესუსტდა. ევრო-2012-ზე ჩეხთა შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა **ვლადიმირ დარიდა**, რომელიც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გაამწესეს.

რაც შეეხება პორტუგალიელა სასტარტო შემადგენლობას, აქ ყველაფერი უცვლელად იყო – **პაულუ ბენტუმ** არჩევანი ზუსტად იმ 11 ფეხბურთელზე შეაჩერა, რომლებსაც ჯგუფური ეტაპის სამივე მატჩზე ენდო.

ორივე გუნდმა თითო გამოკვეთილი ცენტრფორვარდით ითამაშა – პორტუგალიელთაგან ამ ფუნქციებს **ელდერ პოშტიგა** ასრულებდა, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს დაშავდა და **უგო ალმეიდათი** შეცვალეს, ჩეხები კი წინა ხაზზე მასზე არანაკლებ გამოცდილ **მილან ბაროშს** ენდვნენ.

### საუკეთესო ფეხბურთელი

#### კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია)

ვფიქრობთ, გუშინდელი საღამოს შემდეგ უკვე ველარავინ იტყვის, რომ კრიშტიანუ რონალდოს ნაკრებში ყველაფერი არ გამოსდის, ან იქ საქმეს გულგრილად ეკიდება. ჰოლანდიასთან შეხვედრის მსგავსად, "რეალისა" და პორტუგალიის ეროვნული გუნდის ლიდერმა მოედანზე სული და გული დადო, ყველა საუკეთესო თვისება გამოავლინა და ზუსტად ისე მოქმედებდა, როგორიც ამბიციური გუნდის სუპერვარსკვლავ კაპიტანს შეეფერება.

რონალდომ ჩვეული ინდივიდუალიზმითაც ალგვაფრთოვანა და ამჯერად მას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი – პორტუგალიის ნაკრები აღარ ჰგავდა ერთი კაცის გუნდს, რაც, ბუნებრივია, წარმატების მიღწევის შანსს ერთიორად ზრდის.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

#### თეოდორ გებრე სილასიე (ჩეხეთი)

ჩეხეთის ნაკრები, უბრალოდ, პორტუგალიაზე დაბალი დონის გუნდია და აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია, ამ მარცხში რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელი დაადანაშაულო. ამას არც ვაპირებთ, უბრალოდ, მაინც **თეოდორ გებრე სელასიეს** გამოვყოფთ, რომელიც უმძიმეს დავალებას ვერ გაუმკლავდა – რონალდოს განეიტრალება ვერ შეძლო და ამისთვის ნუ დავძრახავთ

### მსაჯი

ვერ გამოდგა ისეთი შეხვედრა, რომლის ბედიც, შესაძლებელი იქნებოდა, მსაჯის ხელში მოქცეულიყო. ამის მიუხედავად, **ჰოვარდ უებს** გარჯას ნუ დავუკარგავთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისელმა არბიტრმა მატჩი სერიოზული შეცდომების გარეშე ჩაატარა. შეიძლება გავიხსენოთ შეხვედრის მიწურულს ჩეხეთის ნაკრების საჯარიმოში რონალდოს წაქცევა მეტოქის მცველთან კონტაქტის შედეგად, თუმცა ამ დროისთვის პორტუგალიას უკვე გატანილი ჰქონდა და, შესაბამისად, ვების გადაწყვეტილებას თამაშის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

### მწვრთნელთა დუელი

ვერ დავიჩემებთ, რომ პაულუ ბენტუ მიხალ ბილეკზე უკეთესი სპეციალისტია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მეტოქეზე ძლიერი ფეხბურთელების სათანადოდ გამოყენებასაც შნო უნდა. პორტუგალიელთა თავკაცმა აბსოლუტურად მართებული გადაწყვეტილება მიიღო, როცა თავის გუნდს შემტევი ფეხბურთის თამაში დაავალა, ბილეკს კი, ალბათ, "მეორე ნომრობის" გარდა, სხვა ალტერნატივა არც ჰქონია. ბუნებრივია, სამწვრთნელო დუელიც პორტუგალიელის გამარჯვებით დასრულდა.



### ანალიზი

ჩეხები თავიდანვე მასირებულ დაცვაში ჩადგნენ და შესვენებამდე მეტოქის შეტევებს წარმატებით იგერიებდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს რონალდუმ ბურთი ძელს გაარტყა, მანამდე კი პორტუგალიელებს დაწინაურების რეალური შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ პირენეელთა უპირატესობა აშკარა გახდა, ჩეხებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ საკუთარი კარის მშრალად შენახვა. პორტუგალიელთა ყველა მომენტს არ გავიხსენებთ, მხოლოდ ყველაზე სახიფათოებს აღვნიშნავთ – რონალდუს დარტყმას ძელი კიდევ ერთხელ აღუდგა წინ, **ჟოაუ მუტინიოს პეტრ ჩეხმა** არ გაატანინა, **ნანის** დარტყმისას კი ხიფათი მცველმა განმუხტა.

ჩეხეთის ნაკრებს კონტრშეტევებზეც არაფერი გამოსდიოდა და მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქის კარის ჩარჩოში ერთხელაც კი არ დაურტყამს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩეხთა პროგრამა-მაქსიმუმი საქმის თერთმეტმეტრიანების სერიამდე მიყვანა და იქ ჩეხის ოსტატობის იმედად ყოფნა იყო, მაგრამ 79-ე წუთზე მათ იმედებს რონალდომ ცივი წყალი გადაასხა – მუტინიომ შეტევის მარჯვენა ფლანგზე დიდი სისწრაფით გაინავარდა და თავისი გუნდის კაპიტანი მოძებნა, რომელმაც თავურით მიწიდან ასხლეტილი ბურთი გაახვია ჩეხის კარში.

### დასკვნა

ფეხბურთი იმითაა საინტერესო, რომ ზოგჯერ შეიძლება მოულოდნელი და ალოგიკური შედეგით დასრულდეს, მაგრამ გუშინ მსგავსი არაფერი მომხდარა – უფრო ძლიერმა მინიმალურად, მაგრამ მაინც ძალიან ეფექტურად და დამაჯერებლად გაიმარჯვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ინტერვიუ. ფრენკ ლემპარდი

# პირველად და უკანასკნელად

**"ჩელსის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუნდის ინგლისელ ვარსკვლავებს ინტერვიუები ჩამოართვა, სადაც მათ ერთსა და იმავე შეკითხვებზე მოუხდათ პასუხის გაცემა. პირველი ამ სერიაში ჯონ ტერი გახლდათ, მეორე ეშლი კოული, ახლა კი ფრენკ ლემპარდის ჯერი დადგა. ვეტერანს მიაჩნია, რომ ოლიმპიური თამაშები ქალაქისთვის ნამდვილი დღესასწაული იქნება.**


ფრენკ ლემპარდი მშობლიურ ქალაქში ოლიმპიადას სულმოუთქმელად ელის

**- ფრენკ, რას ფიქრობთ ოლიმპიადაზე?**

- ბრიტანელებისთვის ეს განსაკუთრებული მოვლენაა. სამხრეთამერიკელები და აფრიკელები ამას უფრო შეჩვეულები არიან, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ყველაფერს ვიზამთ, რაც შეგვიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ოლიმპიურ ნაკრებში იქნება, ყველა მაქსიმალურად მოინდომებს. თუმცა მაინც მგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში ოლიმპიადაზე მნიშვნელოვანია.

**- ოლიმპიადასთან დაკავშირებული თქვენი პირველი მოგონება რომელია?**

- შეიძლება ზამთრის ოლიმპიადაზე ვთქვა? მაშინ "არწივი ედი" (**მაიკლ ედვარდსი**, განთქმული ბრიტანელი ტრამპლინიდან მხტომელი. რედ). დროში განსხვავების გამო სპეციალურად დილაუთენია ვდგებოდი, რომ სკოლაში წასვლამდე რეპორტაჟებისთვის მეყურებინა.

**- რას ელოდებით 2012 წლის თამაშებისგან?**

- რა თქმა უნდა, ბრიტანელი ათლეტების გამარჯვებებს. მაგალითად, 100 მეტრზე სპრინტში. პრინციპში, მინდა, ჩემს შვილებთან ერთად ყველაფერს მივადევნო თვალი, რის ბილეთსაც ვიშოვი. ლორდმა კოემ (ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 1500 მეტრზე სირბილში და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. რედ) წარმოუდგენელი სამუშაო ჩაატარა, რათა ყველაფერი იდეალურად ყოფილიყო ორგანიზებული. ამისთვის მას დიდი მადლობა ეკუთვნის.

**- ვინ არის თქვენი საყვარელი ოლიმპიელი?**

- რაკი პირადად ვიცნობ, სებასტიან კოეს დავასახელებ - მისი, სტივ ოვეტისა და სტივ კრამის ეპოქა ჩვენი მორბენლებისთვის უდიდესი იყო.

**- დაათვალიერეთ ოლიმპიური სტადიონი?**

- ქუჩაზე ახლოსაც ჩამივლია. გარედან ბრწყინვალედ გამოიყურება. დასათვალიერებლად დამპატიჟეს კიდეც, მაგრამ დრო ვერ გამოვნახე ამისთვის.

**- როგორ მოგწონთ ლონდონი, როგორც მასპინძელი ქალაქი?**

- ძალიან მიყვარს ლონდონი. ვიცი, რომ რთული დრო გვქონდა, მაგრამ ახლა შეგვიძლია ვიამაყოთ. იმედია, ეს ქალაქს სერიოზულ შემოსავალს მოუტანს, მას ძირითადი ინტერესს გააღვიძებს და გონებაშიც კარგ მოგონებად დარჩება. ჩემს ქალაქში ასეთი ღონისძიება აქამდე არასოდეს ჩატარებულა და ალბათ მეორედ მას ველარც მოვესწრები.

**- ოლიმპიადაზე მონაწილეობა რომ შემოეთავაზებინათ, რომელ სახეობას აირჩევდით?**

- აკადემიურ ნიჩბოსნობას. თქვენთან ინტერვიუში ეშლი კოულმა 400 მეტრზე სირბილში "გამამწესა". ვფიქრობ, ამას ვერ შევძლებდი, რადგან საკმარისი სისწრაფე არ მაქვს.

**- "ჩელსის" ფეხბურთელებისგან 4/100-მეტრზე ვის დააყენებდით?**

- სტარიჯს, რამირესს, ივანოვიჩსა და ბერტრანდს.

**- დაბოლოს, სპორტის რომელ სახეობას დაამატებდით თამაშებს?**

- არც ერთს. რაც არის, იმითაც კმაყოფილი ვარ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია
თბილისი, ფალიაშვილის №15

უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და მიმდინარე დაავადებების მიუხედავად.
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტირება და მკურნალობა.

გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.
- საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა კრიო აპარატით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი.

პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

ექოსკოპია
- სრულფასოვანი, ყოვლისმომცველი, მაღალხარისხიანი ულტრაბგერითი გამოკვლევა ექიმ ლადო კახაძესთან.

დერმატოლოგია-კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით



გამოიყენება თანამედროვე მკურნალობის მეთოდები.
ანონიმურობა დაცულია!

ტელ: 229 00 66; 229 47 47
დარეკეთ და ჩაეწერეთ!
Email: oxford.tbilisi@gmail.com
www.oxford-med.ge






## ევრო 2012

იტალიის ნაკრები



ჩეზარე პრანდელი გუნდს ინგლისთან ჯახისთვის ამზადებს

# პრანდელი: 10 ბალიდან 7 გვეკუთვნის

## აძურამ მეოთხედფინალის წინ მოილოცა

იტალიის ეროვნული ნაკრები ინგლისთან მეოთხედფინალური პაექრობისთვის ორიგინალურად ემზადება – "სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** შეგირდების აბსოლუტური უმრავლესობა დარაზმა და მოსალოცად კათოლიკურ მონასტერში წაიყვანა; მონასტერი პოლონეთში, იტალიელთა ბანაკიდან 21 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და რაც ყველაზე საინტერესოა, მწვრთნელ-ფეხბურთელები ამ გზას ფეხით დაადგნენ. აი ასე გაატარა სენიორ ჩეზარემ დასვენების დღე და შეგირდები კარგა გვარანად დატვირთა – თურმე, პრანდელის პადრე მასიმილიანოსთვის მიუცია პირობა, რომ მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში, გუნდს მოსალოცად წაიყვანდა; თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ პადრე მასიმილიანო ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ესტუმრა იტალიელთა საწვრთნელ ბაზას და გუნდს გზა დაულოცა.

იტალიელი ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მონასტერში წასვლისგან თავი მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელმა შეიკავა, მათ შორის, **ჯანლუიჯი ბუფონმა** – ჯიჯიმ ამ თემაზე კომენტარიც გააკეთა:

*"სამწუხაროდ, მოსალოცად წასვლა ვერ მოვახერხე, თუმცა ამის დიდი სურვილი მქონდა. არა უშავს, თუ ჩემპიონები გავხდით, პირობას ვდებ, რომ ფეხით ჩავალ და უკანაც ფეხით დავბრუნდები. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ჩვენთან არის – ამის გარეშე, წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია".*

### პრანდელის ბრიფინგი

მოლოცვამდე, ჩეზარე პრანდელიმ პრესკონფერენცია გამართა და განვლილი ბატალიები კიდევ ერთხელ შეაფასა – მოვუსმინოთ მას: *"ჯგუფურ ეტაპზე საკმაოდ კარგად ვიასპარეზეთ და მეოთხედფინალში სრულიად დამსახურებულად გავედით. პირველ შეხვედრაში, ესპანეთს ტოლსწორად ვეპაექრეთ, გუნდს, რომელიც ბოლო წლებში ყველასთან უპირობო ფავორიტია; ხორვატებთან დაახლოებით ერთი საათი შესანიშნავად გავისარჯეთ, შემდეგ კი ერთი პასი გაგვეპარა და უმნიშვნელოვანესი ქულები დავკარგეთ. ირლანდიასთან პაექრობის პირველი 25 წუთი ყველაზე ცუდი იყო მიმდინარე ჩემპიონატზე, თუმცა შემდეგ გამოვასწორეთ თამაში და ორი უპასუხო გოლიც გავიტანეთ. რაც მთავარია, სამივე პაექრობა მაღალ ტემპში წარვმართეთ, ბურთის ფლობის მხრივ თვით ესპანელებს ბევრი არაფერი დავუთმეთ და მომენტიც სხვებზე მეტი შევქმენით. 10-ბალიანი სისტემით თუ შევაფასებთ, ჩემ გუნდს 7-ს დავუწერდი; იმედი მაქვს, მეოთხედფინალში კიდევ უკეთეს "აძურას" ვიხილავთ".*

### აძურა ფოკუსში

იტალიაში ფეხბურთი რომ ცხოვრების წესია, ახალი არავისთვისაა და ბუნებრივია, რომ ყველა დიდ ჩემპიონატზე მთელი ქვეყანა "სკუადრა აძურას" გარშემო ერთიანდება – თუმცა, მიმდინარე ევროფორუმზე გულშემატკივართა ინტერესი განსაკუთრებულად დიდი და თამამად შეიძლება ითქვას, სარეკორდოა. ჯგუფური ეტაპის სამ შეხვედრაში, პირდაპირი ეთერის მეშვეობით "აძურას" თამაშს საშუალოდ ოცმა მილიონმა ადამიანმა მიადევნა თვალი; ქვეყნის მოსახლეობა 60 მილიონია – თუ გავითვალისწინებთ, რომ აქედან დაახლოებით ნახევარი ქალია, რომლებსაც ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებთ; გარკვეული ნაწილი კი ან ძალიან მოხუცი, ან ძალიან პატარა, ან სულაც ტომით უცხოელია, რომლისთვისაც იტალიის ნაკრების თამაში ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს. შედეგი მართლაც რომ განსაცვიფრებელია – ეს ყველაფერი ნაწილობრივ იმასაც ამტკიცებს, რომ აპენინელებს თავიანთი ნაკრების სჯერათ და ამ თემაზე პრანდელიმაც ისაუბრა:

*"ოცი მილიონი მაყურებელი მართლაც ფანტასტიკური შედეგია და სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი სიამაყით მავსებს. როგორც ჩანს, იტალიელებმა ირწმუნეს გუნდის და სჯერათ, რომ ჩვენ დიდი გამარჯვების მოპოვება შეგვიძლია. ყველაფერს გავაკეთებთ, ამ ხალხის მოლოდინი რომ გავამართლოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

## ქართული სპორტი

ძიუდო. ევროპის პირველობა ჭაბუკებში

# ძიუდოისტთა არასრული [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს ჩერნოგორიის ქალაქ ბარში ევროპის ჩემპიონატი იწყება ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. საქართველო იქ ძირითადად ბიჭების გუნდით იქნება წარმოდგენილი, თორემ გოგოებში მხოლოდ ორი მონაწილე გვეყოლება.**

ბიჭების გუნდი არასრულადაა დაკომპლექტებული - მწვრთნელებმა 66 კილოგრამში მხოლოდ ერთი კვოტა გამოიყენეს, სხვა წონებში კი ორ-ორი მონაწილე გვეყოლება. ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია თენაძემ** და მისმა თანაშემწე **გიორგი რევაზიშვილმა** ბარში **ირაკლი კუპატაძე, ერეკლე არხოზაშვილი** (ორივე - 50), **გიორგი კაციაშვილი, ბექა ნათათრალიშვილი** (55), **კობა მჭედლიშვილი, ბექა უდესიანი** (60), **ბაჩანა ბოლქვაძე** (66), **თამაზ კირაკოზაშვილი, ზურაბ ლომიძე** (73), **ბექა შერაზადიშვილი, ნიკა მოველიძე** (81), **დავით რამაზაშვილი, გიორგი გველესიანი** (90), **გიორგი ძებისაშვილი, ზაზა გოჯიაშვილი** (+90) შეარჩიეს. ისინი შიდა თუ უცხოური ტურნირების შედეგებს დაეყრდნენ. მათთვის ყველაზე მძიმე 55-ში შემადგენლობის გარკვევა იყო, რადგან იქ ზემოხსენებულ დუეტთან ერთად პრეტენზიას არხოზაშვილიც აცხადებდა - ეს სამეული შინ თუ გარეთ მუდმივად ადიოდა კვარცხლბეკზე, ადგილებს თუ შეიცვლიდნენ მხოლოდ. საბოლოოდ მწვრთნელებმა დილემა იმით გადაჭრეს, რომ არხოზაშვილი 50-ში დასწიეს. ასევე ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება 81-შიც, სადაც ადგილობრივ დუეტს - მოველიძესა და **გიორგი ქურდიანს** კონკურენციას ესპანეთში მცხოვრები შერაზადიშვილიც უწევდა. ბოლო საკონტროლო შეჯიბრებაზე პოლონეთში შერაზადიშვილმა ვერცხლი მოიპოვა და კონკურენტებს გაუსწრო, მოველიძესა და ქურდიანს შორის კი მწვრთნელებს საკონტროლო შეხვედრის გამართვა დასჭირდათ. ტრავმების გამო ამჯერად გუნდში ვერ მოხვდნენ **ზაზა მეგრელიშვილი** (66) და **ვანო ჩურჩხელაშვილი** (73).

ამ გუნდმა ევროპის შარშანდელ პირველობაზე 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვა. ჩემპიონები **ვანო მამისაშვილი** (55) და **ბექა ღვინიაშვილი** (81) გახდნენ, ვერცხლის მედლები კირაკოზაშვილმა, **შალვა ჩოჩელმა** (90) და **გიორგი ლაზუაშვილმა** (+90) მოიპოვეს, მესამე ადგილზე კი **ლევან გუგავა** (73) და **გურამ თუშიშვილი** (90) გავიდნენ. ოღონდ შარშან კირაკოზაშვილი 60 კილოგრამში გამოდიოდა. შარშანდელი გუნდიდან შემორჩნენ კაციაშვილი და ბოლქვაძეც, ოღონდ მაშინ ისინიც სხვა წონებში ჭიდაობდნენ - პირველი -50-ში, მეორე - 55-ში.

გოგოების ტურნირში გია თენაძისა და **კახა მოცრაძის** გადაწყვეტილებით მხოლოდ ორი მონაწილე გვეყოლება და ორივე ერთსა და იმავე წონაში - **მარიამ ჯანაშვილი და გურანდა შოთაძე**.

ევროპის ჩემპიონატი სამ დღეს გაგრძელდება და 24 ივნისს დასრულდება. დღეს ჩვენებიდან 50, 55 და 60-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ, ხვალ ბიჭებიდან 66-73-ის ფალავნები და გოგოების დუეტი იასპარეზებს, დანარჩენები კი 24-ში გამოვლენ ტატამზე.

**ირაკლი თავაძე**



ჭადრაკი



დავით არუთინიანი

# სათავეში ჩვენებურები

ჯერმუკში დიდოსტატ კარენ ასრიანის მემორიალში ექვსი ტური მიილია. ბოლო ორ ტურში შესანიშნავად ითამაშეს საქართველოს წარგზავნილებმა - დავით არუთინიანმა და კონსტანტინე შანავამ. ორივე დიდოსტატმა მონაგარს ორ-ორი ქულა შემატა. გუშინ არუთინიანმა მასპინძელი ტიგრან პეტროსიანი დაამარცხა, შანავამ ერევნელ სამველ ტერ-სააკიანს სძლია. მეწინავეთა ჯგუფები დაზავდნენ: ავეტიკ გრიგორიანი - ჰრანტ მელქუმიანი, ჰრაირ სიმონიანი - ტიგრან კოტანჯიანი, რობერტ ალასარიანი - სოფიკო გურამიშვილი. ზავენ ანდრიასიანმა დავით ლომსაძეს აჯობა, არტურ ყარაგოზიანი ყაიმზე შეუთანხმდა დავით მალალაშვილს, გაიოზ ნიგალიძემ კი ჰარუტინ ბარსეგიანს მოუგო.

ექვსი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი: არუთინიანი - 5,5, შანავა - 5, გურამიშვილი - 4, ლომსაძე, მალალაშვილი, ნიგალიძე - 3-3 ქულა.

მე-7 ტურში ჩვენებურები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: შანავა - არუთინიანი, გურამიშვილი - მინასიანი, მალალაშვილი - ბაკუნცი, ლომსაძე - ნიგალიძე.

**ვაჟა დანელია**

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# გერმანია დავამარცხეთ – ნაბიჯი ლონდონისკენ

აშშ-ში, მთიანი იუტას შტატის ქალაქ ოგდენში გრძელდება მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი, რომელიც იმავდროულად სალიცენზიო სტატუსსაც ატარებს. გუშინ გაიმართა პლეი ოფები გუნდურ პირველობაში - ჯერ თასზე, მერე - სალიცენზიო შეჯიბრებაში, სადაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურებს სამეულში მოხვედრილები ილებდნენ. სამწუხაროდ, აშშ-ს დასავლეთ სანაპიროსკენ მდებარე ოგდენში შეჯიბრებები თბილისის დროით ძალიან გვიან, დაახლოებით ღამის 2 საათისთვის იწყება (ყოველ შემთხვევაში, ქალების გამოსვლა). ამიტომ გუნდური ტურნირის საბოლოო შედეგზე დღეს ვერაფერს გეტყვით, თუმცა გაგახარებთ და გაცნობებთ, რომ სალიცენზიო ტურნირის პირველ წრეში ჩვენმა ქალებმა გერმანელთა ანგარიშგასაწევი გუნდი 216:204 დაამარცხეს, მერე მათ გადასროლაში ფრანგებიც ზედ მიაყოლეს და წუხელ ნახევარფინალში მექსიკელებს შეხვდებოდნენ, რომლებთანაც მსოფლიოს თასზე გუშინ უკვე წააგეს.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში ჩვენგან მხოლოდ ქალთა ნაკრები მოხვდა, ვაჟები კი საკვალიფიკაციოში 31-ზე გავიდნენ და გუნდურ ტურნირსაც გამოაკლდნენ. ქალებმა 1851 ქულა დააგროვეს, რაც მსოფლიოს თასზე XVI მაჩვენებელი აღმოჩნდა, ოლიმპიურ ჩათვლაში კი - XIII. ამდენად, თასზე ქართველ ქალებს პირველ წრეში საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულ მექსიკელებთან მოუწიათ დაპირისპირება. სამწუხაროდ, ჩვენებმა ამერიკელებთან ყველა სეტი წააგეს და დამარცხდნენ საერთო ანგარიშით 202:223. მექსიკელებმა მერე მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის მძლეველ პოლონეთსა და მასპინძელ აშშ-საც მოუგეს და 24 ივნისს ფინალში რუსებს შეხვდებიან.

სალიცენზიო რეიტინგში ჩვენი ნაკრები XII აღმოჩნდა და პლეი ოფის პირველ წრეში მეტოქედ გერმანია ერგო. კიდევ კარგი, ჩვენებმა თასზე განცდილი მარცხი დაივიწყეს და ცივსისხლიან გერმანელებთან ნერვები მოთოკეს. პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა - 52:52, მეორეში კი გერმანელებმა ერთი ქულით გვაჯობეს - 54:53 და საერთო ანგარიშშიც მინიმალური სხვაობით დაწინაურდნენ - 106:105. ეს ჩამორჩენა ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან ჯერ მხოლოდ ასპარეზობის ნახევარი იყო გავლილი, წინ კი კიდევ 12 გასროლა რჩებოდა. მართლაც, მესამე სერიაში გერმანელებმა ძალზე არაზუსტად ისროლეს - 60-დან 47 ქულა დააგროვეს. ჩვენებმა - პირიქით, სამიზნე გაისწორეს, მხოლოდ 4 ქულა დაკარგეს და საერთო ანგარიშში გვარიანად გაიჭრნენ წინ - 161:153. რჩებოდა გადამწყვეტი სერია, გადამწყვეტი 6 გასროლა, რომელსაც ბევრი რამის განსაზღვრა შეეძლო. საბედნიეროდ, ჩვენი ტრიო მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, პერიოდი 55:51 მოიგო, მთლიანად შეხვედრა კი - 216:204 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც კანადელთა მძლეველ ფრანგებს გაეჯიბრნენ. ჩვენებმა მათთან მაისში ევროპის პირველობაზე წააგეს, ახლა კი რევანშის შანსი მიეცათ. კარგადაც დაიწყეს და მიზანთან ახლოსაც იყვნენ - პირველი ორი პერიოდი 52:50, 53:51 მოუგეს, მაგრამ მესამე 4 ქულით წააგეს - 51:55 და ის 4-ქულიანი ფორა გაანიავეს. ამდენად, გადამწყვეტი, მეოთხე სეტის წინ ანგარიში გათანაბრდა - 156:156 და ყველაფერი კვლავაც მეოთხე პერიოდს უნდა გადაეწყვიტა. ბედის ირონიით, ისიც ფრედ დასრულდა და შეხვედრაც - 210:210, გამარჯვებულის ვინაობა კი გადასროლამ გამოავლინა. ჩვენებმა კიდევ ერთხელ მოთოკეს ნერვები, კიდევ ერთხელ გადაახტნენ საკუთარ თავს და ეს ნერვების ჭიდილი 9:8 მოიგეს. ნახევარფინალში ისინი ისევ მექსიკელებს შეხვდებოდნენ და მათთან მოგებით ფინალსა და გუნდურ ლიცენზიებს ერთად ინაღდებდნენ, თუმცა წაგებითაც რჩებოდათ მესამეზე გასვლის შანსი. სამწუხაროდ, გაზეთის პერიოდულობიდან გამომდინარე, მექსიკელებთან ორთაბრძოლაზე დღეს ვერაფერს გეტყვით. აქვე შეგახსენებთ, რომ დღესვე ოგდენში სალიცენზიო ტურნირი უკვე ინდივიდუალურში გაიმართება, სადაც საგზურს ხუთეულში მოხვედრილები მიიღებენ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# რენას და დათოს თასზე

**„ოლიმპიკის“ კორტებზე გრძელდება 14 და 16 წლის ჩოგბურთელ გოგონათა და ვაჟთა შორის ტრადიციული „რენას და დათოს თასის“ გათამაშება. გუშინ შეხვედრები გაიმართა როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში:**

**14-წლიანები. წყვილები**

**გოგონები.** აზა პეტროვა, ანგელინა შახრაიჩუკი (ორივე - უკრაინა) - ფიტანა ხალილზადა (აზერბაიჯანი), სოფია ლანსერი (რუსეთი) 6:3, 6:0, **ანა შანიძე, ნატალია სიმონიშვილი** (ორივე-საქართველო) - ვარვარა კუკსინა, მარია სმოლიარი (ორივე-რუსეთი) 6:4, 0:6, 10:6.

**ვაჟები. ნიკოლოზ დავლიანიძე, ვაჟა შუბლაძე** (ორივე-საქართველო) - ფურკან კოკი, იჰსან კოკი (ორივე-თურქეთი) 6:1, 6:1, **გიორგი კლიმიაშვილი, გიორგი მელითაური** (ორივე-საქართველო) - საჩიდ აიჰან აჰუნზადე, იგით აკტასი (ორივე-თურქეთი) 6:1, 6:0, კაგათეი ოზსეკერი (თურქეთი), **გიორგი ფანგანი** (საქართველო) - **ბექა ჩიტიაშვილი, საბა ფურცელაძე** (ორივე-საქართველო) 6:0,6:2, გიორგი კლიმიაშვილი, გიორგი მელითაური (ორივე-საქართველო) - იგორ ანდლულაძე, მიხაილ სოკოლოვსკი (ორივე-რუსეთი) 2:6, 3:6.

**16-წლიანები. ერთეულები**

**გოგონები.** ალინა ზუბკოვა (ბელარუსი) - **ნანო ჯანელიძე** (საქართველო) 6:2, 6:4, ვიქტორია კაპიტოლინა (რუსეთი) - **მარიამ ბოლქვაძე** (საქართველო) 2:6, 5:7, ეკატერინა ანტროპოვა (რუსეთი) - ელიზავეტა ფაკანოშვილი (ბელარუსი) 6:0, 6:0, ანასტასია ბლიუხტეროვა (რუსეთი) - **თამარ კუტუბიძე** (საქართველო) 2:6, 6:7, **ანა ახალკაცი** საქართველო) - **შორენა თათელიშვილი** (საქართველო) 6:2, 6:3, **ირინე ყარანგოზიშვილი** (საქართველო) - ამინა ანშბა (რუსეთი) 2:6, 1:6, ანა ილიხიანი (რუსეთი) - **მარიამ მითაიშვილი** (საქართველო) 6:7, 4:6, **ანა დობორჯგინიძე** (საქართველო) - **ეკატერინე ლასარეიშვილი** (საქართველო) 2:6,3:6.

**ვაჟები.** სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი) - შტეფან ლოხნერი (თურქეთი) 4:6, 6:2, 6:4, სურენ ბაღდასარიანი (სომხეთი) - დენის გეველი (უკრაინა) 0:6, 1:3 (სომეხმა ჩოგბურთელმა ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა), არშაკ ხაზარიანი (სომხეთი) - **ერეკლე კლიმიაშვილი** (საქართველო) 6:2, 6:3, დანიილ მიშჩენკო (ყაზახეთი) - დავიდ ვან რიესენი (გერმანია) 6:1,6:2, მიქაელ ავეტისიანი (სომხეთი) - ანტონ ბანდარუკი (ბელარუსი) 6:3, 6:4, **გიორგი დათაშვილი** (საქართველო) - დიმიტრის სტავროპულოსი (საბერძნეთი) 5:7, 6:4, 6:7, კაგათეი სამი სოკე (თურქეთი) - სტანისლავ ალიოხინი (უკრაინა) 6:0, 3:6, 6:7, მეჯიდ ახმედოვი (რუსეთი) - აიხან მანაფლი (აზერბაიჯანი) 5:7,6:7.

**წყვილები**

**ვაჟები.** ანტონ ბადნარუკი (ბელარუსი), დანიილ მიშჩენკო (ყაზახეთი) - დანიილ კანტონა (ბელარუსი), ჰარუტინ მკრტიჩიანი (სომხეთი) 6:2, 6:1, ჩრის მიკროვასი, დიმიტრის სტავროპულოსი (ორივე-საბერძნეთი) - **ზურაბ ბოლქვაძე, ერეკლე კლიმიაშვილი** (ორივე-საქართველო- 6:0, 6:2.

**ვაჟა დანელია**

# უცხოეთის კორტებზე



სოფიო ქვაცაბაია

რამდენიმე დღის შემდეგ ლონდონში უიმბლდონის მთავარი საჩოგბურთო ტურნირი დაიწყება. ძირითად ბადეში ქართველი **ანა ტატიშვილიც** ითამაშებს. საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთადერთმა ჩვენებურმა - **მაკა ჩახნაშვილმა** მოსინჯა ძალები. სამწუხაროდ, უიღბლოდ - სტარტზევე სამხრეთაფრიკელ ჩანელ სიმონდსთან დამარცხდა - 4:6, 0:6. დიდი ბრიტანეთის გარდა, ქალთა საერთაშორისო ტურნირები ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარეობს.

შვეიცარიული ლენცერჰეიდე 25-ათასიან შეჯიბრებას მასპინძლობს. აქ ორი ჩვენებური ჩაება. **სოფიო ქვაცაბაიამ** საკვალიფიკაციო ეტაპზე პაულა ნატალია ორლინი კამპოსი (იტალია, 6:3, 6:0) და იულია შილერი (ავსტრია, 7:6, 6:3) დაამარცხა, ხოლო **ეკატერინე გორგოძემ** სოფია დმიტრიევას (რუსეთი, 6:1, 6:2) და კატინკა ვონ დიჩმანს (ლიხტენშტეინი, 6:4, 6:4) სძლია. ქვაცაბაიამ ძირითად ბადეშიც ორჯერ იზეიმა გამარჯვება: ჯერ მე-5 ნომრად განთესილ პემრა ოზგენს (თურქეთი) დააყრევინა ფარხმალი - 7:6, 6:1, მეორეში კი ჩეხი ტერეზა სმიტკოვას დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა: 4:6, 6:0, 6:3.

რაც შეეხება გორგოძეს, მან პირველი ხელი მოუგო სლოვენიელ მაშა ზეჩპესკირიჩს 6:3, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი დათმო - 3:6, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა. ქართველმა ჩოგბურთელებმა წყვილებშიც მოსინჯეს ძალები. ჩვენებურთა დუეტმა პირველ წრეში ბრაზილიელებს - კარლა ფორტეს და ლაურა როგოსს აჯობა: 3:6, 6:1, 12:10, მეოთხედფინალი კი ოზგენ-ზეჩ-პესკირიჩთან დათმო - 6:3, 3:6, 1:6.

ფრანგულ მონპელიეში **სოფიო შაფათავამ** 25-ათასიანი ტურნირის პირველივე ბარიერთან წაიფორხილა - მასპინძელ ალიზ ლიმისთან წააგო - 4:6, 2:6. წყვილთა პაექრობაში ბელარუს პოლინა პეხოვასთან ერთად ჩაება. მართალია, ინტერნაციონალურმა დუეტმა პირველ წრეში იოლად დაძლია ფრანგების - ამანდინ ჰესისა და ალიზ ლიმის წინაალმდეგობა (6:3, 6:3), მაგრამ შემდეგ, ასევე, მასპინძლების წყვილს (სევერინ ბელტრამი, ლაურა ტორპე) ვერ გასცდა - 2:6, 6:7.

შვედეთის 25-ათასიან ტურნირში წარუმატებლად ითამაშა **ოქსანა კალაშნიკოვამ** - მერვედფინალში ბელარუს ილონა კრემენთან წააგო - 1:6, 6:7.

**ვაჟა დანელია**

პროფესიული კრივი

# საქართველოს ქამარი ფოთელმა მოიგო

ვერის ბაღში, გიორგი კანდელაკის კრივის დარბაზში, გუშინ პროფესიონალ მოკრივეთა მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გაიმართა და 66 კილოში „საქართველოს ქამარიც“ გათამაშდა. გულშემატკივრებმა სულ 18 პაექრობა იხილეს, მათ შორის - ორი გოგონებისა. თბილისელ **სოფო ფუტკარაძეს** (58 კგ) აქამდე პროფესიულ რინგზე 5 ორთაბრძოლიდან ოთხი მოეგო. გუშინ გორელ **მარი ტატუნაშვილთან** ოთხრაუნდიანი შეხვედრა ფრედ (40:40) დაამთავრა. როგორც მარისთვის, ისე სოფოსთვის ეს მეორე დაზავება აღმოჩნდა. ამავე წონაში ნინო ჩხეიძემ (თბილისი) **თამუნა სალუქვაძეს** (გორი) ქულებით მოუგო - 40:38.

ვარიანელი **შალვა ჯომარდაშვილი** (75 კგ) გამოცდილი მოკრივეა. პროფესიულ რინგზე 39-დან 32 ორთაბრძოლაში გაიმარჯვა. გუშინ საიუბილეო მეორმოცე პაექრობაშიც იზეიმა წარმატება - თანასოფლელი **ბადრი სტეფანიშვილი** პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

შეხვედრის მოსაგებად სამი წუთი ეყო **შავლეგო წამალაიძეს** (თბილისი, 69) - ტექნიკური ნოკაუტით მან **მერაბ გუკასიანს** (ბორჯომი) აჯობა. ასევე, ვადამდე ტექნიკური ნოკაუტით დაამთავრეს პაექრობები **ნიკა ქოქაშვილმა** (ვარიანი, 54 კგ), **გიორგი ბარამიშვილმა** (გურჯაანი, 64), **კახა ავეტისიანმა** (ბორჯომი, 62), **ნუგზარ მარგველაშვილმა** (საჩხერე, 63,5), **გოგიტა გორგილაძემ** (თბილისი, 90), **გიორგი ბეროშვილმა** (გურჯაანი, 75) და **მამუკა ჯიქურაშვილმა** (გურჯაანი, +91), რომლებმაც, შესაბამისად, **მიხეილ სალონინკინს** (გორი), **ტარიელ მამიტაშვილს** (გორი), **შალვა გიორგიშვილს, ვალერი ხვედელიანს, ნუკრი გაბიტაშვილს, რუსლან ბადიშოვსა** და **იმედა სიბაშვილს** (ყველა - თბილისი) სძლიეს. დანარჩენი ორთაბრძოლები უფრო დაძაბულად წარიმართა და გამარჯვებულები ქულათა მცირე სხვაობით გამოვლინდნენ: **მალხაზ თათრიშვილი** (გორი, 56) - **ლვთისო თითბერია** (გორი) 39:37, **გია ათენოვი** (ვარიანი, 60) - **მამუკა გუკასიანი** (ბორჯომი) 60:58, **ფრიდონ ყაყუტაშვილი** (გორი, 64) - **გიგა ნადირაძე** (ვარიანი) 59:57, **რამაზ გოგიჩაშვილი** (ვარიანი, 69) - **ჯაბა შალუტაშვილი** (ბორჯომი) 40:39, **შალვა მელექსიშვილი** (გურჯაანი, 81) - **ირაკლი დუნდუა** (ფოთი) 40:38. **ვაჟთა ერთადერთი** დაპირისპირება დამთავრდა ფრედ: **პაატა ადუაშვილი** (ვარიანი) - **გიორგი ჯოჯუა** (თბილისი) 40:40.

გუშინდელი ბატალიებიდან ყველაზე დაძაბული და ემოციური გამოდგა 66 კილოში „საქართველოს ქამრისთვის“ ბრძოლა ფოთელ **გიორგი უნგიაძესა** და ქუთაისელ **ამბროსი სუთიძეს** შორის. ფოთელი მოკრივე ბევრად უფრო გამოცდილია. პროფესიულ რინგზე 31 შეხვედრა ჩაატარა, საიდანაც 18 მოიგო. რიონისპირელის მაჩვენებლები უფრო მოკრძალებულია - 9 ორთაბრძოლიდან 5 გამარჯვება. ყოველივეს მიუხედავად, პაექრობა საინტერესო გამოდგა. თავიდან უნგიაძე უტევდა, ბოლო რაუნდები სუთიძემ უკეთ ჩაატარა. საბოლოოდ გიორგი უნგიაძემ (მწვრთნელი დავით დავითიანი) გაიმარჯვა და „საქართველოს ქამარიც“ მას ერგო.

- სარეიტინგო ორთაბრძოლების შემდეგ 66 კილოში გიორგი უნგიაძე და ამბროსი სუთიძე დაწინაურდნენ, ამიტომაც გაითამაშეს მათ საჩემპიონო ქამარი, - გვითხრა საქართველოს პროფესიული კრივის პრეზიდენტმა **გიორგი კანდელაკმა.** - თითქმის თანაბარი ორთაბრძოლა იყო. მსაჯებმა მცირე უპირატესობა ფოთელ მოკრივეს მიანიჭეს - სხვაობა მხოლოდ 2 ქულა იყო. ორივე სპორტსმენი ახლო მომავალში ახალ სარეიტინგო შეხვედრებს გამართავს. წარმატების შემთხვევაში სუთიძეს შესაძლებლობა ექნება, მეტოქე მატჩ-რევანშში გამოიწვიოს. ორივე ნიჭიერი მოკრივეა და ეს ნიჭი საერთაშორისო სარბიელზე წარმატებისთვის უნდა გამოიყენონ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



გიორგი უნგიაძისა (მარცხნივ) და ამბროსი სუთიძის შეხვედრის მომენტი

კარატე

# დიდოსტატი თბილისს ესტუმრა

საქართველოს პირველად ესტუმრა მსოფლიო დონის ოსტატი, მეექვსე დანის მფლობელი, მსოფლიოს და იაპონიის არაერთგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატეს ვიცე-შეფინსტრუქტორი, სენსეი **ტეცუჯი ნაკამურა,** რომელიც კარატეს ცოცხალი ლეგენდის, მეათე დანის მფლობელის, სენსეი **მორიო ჰიგაონას** პირადი მოსწავლე და საქმის უშუალო გამგრძელებელია. თბილისში იგი საქართველოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტის, სენსეი **ლევან როგავას** მოწვევით ჩამოვიდა.

სტუმარი თბილისში თეორიულ სემინარებს გოჯუ რიუს ყველა რანგის კარატისტისთვის ატარებს, რომელიც ხვალ დასრულდება. დიდოსტატმა გამოცდების მიღებაც გადაწყვიტა. „საქართველოში გოჯუ რიუს საკმაოდ მაღალი დონეა და ამიტომაც კმაყოფილი ვარ სენსეი ლევან როგავასი. სემინარის პირველივე დღეს დავრწმუნდი, რომ თქვენთან კარატეს ეს სახეობა მეტად პოპულარული და განვითარებულია. ამიტომ სემინარების შემდეგ გამოცდებსაც ჩავიბარებ შავ ქამარზე და მომდევნო დანებზე. რაც შეეხება საქართველოს, თქვენი სტუმართმოყვარეობით, ბუნებით, ქვეყნის წარსულითა და სხვა მრავალი ღირსშესანიშნაობით აღფრთოვანებული ვარ. კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ თქვენთან“, - აღნიშნა სენსეი ტეცუჯი ნაკამურამ.

**ნუგზარ ქიაბერაშვილი**



ტეცუჯი ნაკამურა ქართველ კარატისტებთან

ჯომარდობა

# ბორჯომი უმასპინძლებს

ხვალ და ზეგ ბორჯომში, მდინარე მტკვარზე, ტრადიციულად, ჯომარდობის ეროვნული ფედერაცია (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **დავით ქაცარავა**) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ბორჯომის გამგეობის მხარდაჭერით საქართველოს ჩემპიონატს გამართავს. მოყვარულთა (B ლიგა) შეჯიბრებაში სპორტსმენები ძალებს მოსინჯავენ სამ დისციპლინაში - სპრინტში, სლალომსა და პირისპირ დაშვებაში (Head to head), ხოლო A-ლიგელთა დაპირისპირება 4 დისციპლინას ითვალისწინებს - მოყვარულთა სამ სახეობას გრძელ დისტანციაზე (Downriver) დაშვება დაემატება. B ლიგაში 32 გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს, A ლიგაში კი 6 გუნდი გამოვა, რომლებსაც თურქეთის ეროვნული ნაკრებიც დაემატება, ოღონდ ის უკონკურსოდ იასპარეზებს.

პირველად საქართველოში ჯომარდობის ოფიციალურ პაექრობებში შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები ჩაერთვებიან. თბილისის მერიის გუნდში სწორედ 2 ასეთი პიროვნება იქნება. ისინი მოყვარულებს გაეჯიბრებიან.

**ვაჟა დანელია**

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

● საქართველოს ნაკრები

# პეიგი და კროული ვანკუვერში შეიყარნენ

**საქართველოს ნაკრები ივნისის ტესტების ბოლო მატჩს კანადის ეროვნულ გუნდთან, ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ბარნაბიში გამართავს. თამაში 24 ივნისს, თბილისის დროით ღამის პირველ საათზე დაიწყება.**

მანამდე კი ორივე გუნდი მომავალი ორთაბრძოლისთვის დიდი მონდომებით ემზადება. „ნეკერჩხლის ფოთლებისა" და „ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელებმა, **კირან კროულიმ** და **მილტონ ჰეიგმა** ვანკუვერში პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატეს.

„გასულ უქმეებზე იტალიის ნაკრებთან მარცხი სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ და მთელი კონცენტრაცია მომავალი მატჩისთვის სამზადისზე გადავიტანოთ.

ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო გავამყაროთ დაცვის ხაზი და ბევრად უკეთესად ვითამაშოთ შეტევისას. იტალიის ნაკრებთან მატჩში, რომელიც 16:25 წავაგეთ, ეს მხოლოდ ნაწილობრივ შევძელით. მიუხედავად ამისა, კანადის ნაკრების თამაშმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, თუმცა ეს ჩვენთვის საკმარისი არ არის. იტალიელთა დამარცხება ნამდვილად შეგვეძლო, უბრალოდ მეტოქეს ფიზიკურ ძალას ვერაფერი მოვუხერხეთ და მათთვის ხელსაყრელ თამაშში ავყევით.

საქართველოს ნაკრებმა გასულ უქმეებზე აშშ-ს ნაკრებთან 20:36 წააგო. ერთი კვირით ადრე ამერიკელები მათსავე მოედანზე ჩვენ 28:25 დავამარცხეთ. გარწმუნებთ, ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. საქართველოს ნაკრები, რომელიც მუდმივად პროგრესირებს, ძალიან დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს.

ქართველებს ევროპის მეორე ეშელონში საუკეთესო ნაკრები ჰყავთ. ეს გუნდი ფიზიკურად ძლიერი და მიზანმიმართული მაღალი დონის მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. მათ დასამარცხებლად სერიოზული გარჯა მოგვიწევს", - თქვა კანადის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კირან კროულიმ.

საქართველოსა და კანადის ნაკრებები აქამდე ერთმანეთს ორჯერ დაუპირისპირდნენ. პირველი შეხვედრა 2009 წელს დენვერში, „ჩერჩილის თასზე" „ნეკერჩხლის ფოთლებმა" 42:10 მოიგეს. მეორე ერთი წლის შემდეგ თბილისში გაიმართა და ამჯერად გამარჯვება „ბორჯღალოსნებს" დარჩათ - 22:15.

„ყველანაირად ვეცდებით, კანადის ნაკრებთან ბევრად უკეთ ვითამაშოთ, ვიდრე ეს გასულ უქმეებზე აშშ-ს ნაკრებთან მატჩში შევძელით. იმ შეხვედრაში ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც დაგეგმილი გვქონდა. ყველანი ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობას მეგობრების, ოჯახის წევრების, ზოგადად ქვეყნის წინაშე და ვეცდებით, ისე ვითამაშოთ, რომ ჩვენით იამაყონ.

ვიცით, რომ კანადის ნაკრები უდიდეს წინააღმდეგობას გაგვიწევს. ამ გუნდმა ორი შესანიშნავი ტესტის გამართვა მოასწრო და კარგადაა მომზადებული. ჩვენთვის კანადელებთან ასპარეზობა დიდი გამოწვევაა და მოუთმენლად ველით მატჩის დღეს", - თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა.

კანადის ნაკრებმა იტალიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: 15. ჯეიმზ პრიტჩარდი, 14. კონორ ტრეინორი, 13. დი ტი ეიჩ ფან დერ მერვე, 12. მაიკ შოლცი, 11. ფილ მაკენზი, 10. მეთ ევანსი, 9. შონ ვაითი. 1. ჰუბერ ბუდენსი, 2. მაიკ პლეტჩი, 3. ჯეისონ მარშალი, 4. ჯო სინკლერი, 5. ტაილერ ჰოტსონი, 6. ტაილერ არდრონი, 7. ჩონსი ოტული, 8. აარონ კარპენტერი.

16. ენდრიუ ტიდმანი, 17. ტომ დოლეზალი, 18. ჯონ ფელანი, 19. ნანიაკ დალა, 20. ედვარდ ფეირჰურსტი, 21. ლიამ ანდერვუდი, 22. კირან ჰირანი.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

მეორე ხაზი: **ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), დავით ჩიტიძე (არმია).**

მესამე ხაზი: **ბექა ბიწაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია), გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე (ორივე-ლოკომოტივი), გია ლაბაძე (ლა სეინი)**

**№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV), ბიძინა სამხარაძე (არმია)**

**№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).**

**№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).**

**№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ალექსანდრე თოდუა (ალბი).**

**№15. ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).**



● მსოფლიოს ჩემპიონატი, U-20


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღმოჩენა: არგენტინა, მოულოდნელობა: უელსი

**დღეს სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალი გაიმართება, სადაც სრულიად ლოგიკურად და დამსახურებულად, ერთმანეთს სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.**

მსოფლიოს ჩემპიონატი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, რომელზეც ტურნირის აღმოჩენად არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები აღიარეს. „უმცროსმა პუმებმა" ჯგუფურ ტურნირში ფავორიტები ავსტრალიის, საფრანგეთისა და შოტლანდიის თანატოლთა გუნდები დაამარცხეს და ნახევარფინალში მასპინძლებთან წააგეს.

არგენტინელები მესამე ადგილისთვის მატჩში უელსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, რომლებსაც მოწინავე ოთხეულში ასევე არავინ ელოდა. „წითელმა ურჩხულებმა" ჯგუფურ ტურნირში ახალი ზელანდიის ნაკრების დამარცხება შეძლეს, თუმცა ნახევარფინალში ისევ ამ გუნდთან წააგეს.

აღსანიშნავია, რომ მე-11 ადგილისთვის შეხვედრაში იტალიისა და ფიჯის ნაკრებები იასპარეზებენ. ამ წყვილში დამარცხებული ბოლო ადგილს დაიკავებს და მომავალ ჩემპიონატში ადგილს „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" გამარჯვებულს დაუთმობს. ეს გუნდი შესაძლებელია საქართველოს ნაკრებიც იყოს.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მომავალ წელს საფრანგეთში გაიმართება.

| | |
|---|---|
| **IX ადგილისთვის** | |
| შოტლანდია-იტალია | 34:17 |
| ფიჯი-სამოა | 20:29 |
| **V ადგილისთვის** | |
| საფრანგეთი-ავსტრალია | 19:17 |
| ირლანდია-ინგლისი | 27:12 |
| **ნახევარფინალი** | |
| უელსი-ახალი ზელანდია | 6:30 |
| არგენტინა-სამხრეთ აფრიკა | 3:35 |
| **XI ადგილისთვის** | |
| იტალია-ფიჯი | |
| **IX ადგილისთვის** | |
| შოტლანდია-სამოა | |
| **VII ადგილისთვის** | |
| ინგლისი-ავსტრალია | |
| **V ადგილისთვის** | |
| ირლანდია-საფრანგეთი | |
| **III ადგილისთვის** | |
| არგენტინა-უელსი | |
| **ფინალი** | |
| ახ.ზელანდია-სამ.აფრიკა | |

● მსოფლიოს ალაფი

# ვარჯიშს თამაში ბევრად სჯობია

**საქართველოს 20-წლამდელა ნაკრები დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში ზიმბაბვეს ნაკრებს დაუპირისპირდება. „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში, რომელიც თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება, ჩვენს მორაგბეებს აუცილებლად გამარჯვება ჭირდებათ.**

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" კანადის ნაკრები დაამარცხა 31:17. ზიმბაბვემ კი სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია იაპონიის გუნდს, თუმცა მაინც წააგო სამი ქულის სხვაობით - 36:39. „ნეკერჩხლის ფოთლებთან" მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შოტლანდიელმა **იან სმიტმა** ასე შეაფასა გუნდის თამაში:

„ამ შეჯიბრებისთვის კარგად ვემზადებოდით, ბევრს და მუყაითად ვშრომობდით, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად არ გვქონია. კანადელებთან მატჩი კონკურენტუნარიან გუნდთან პირველი შეხვედრა იყო. ვფიქრობ, რომ პირველ ტაიმში სწორედ ამიტომ გაგვიჭირდა - ცუდად ვითამაშეთ ფეხით, ხშირად ვკარგავდით ბურთს და შეტევების მრავალფეროვნებითაც ვერ დავიკვეხნიდით.

მეორე ნახევარში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მორაგბეებმა შეძლეს ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციებისა და თამაშის სისტემის ამუშავება. შესაბამისად, გუნდი ბევრად უფრო ეფექტურად გამოიყურებოდა.

ცხადია, ეს ჩვენი მაქსიმუმი არ არის. საქართველოს ნაკრებს ბევრად უკეთ ასპარეზობა შეუძლია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სათამაშო პრაქტიკა გვაკლია. ივარჯიშეთ რამდენიც გინდათ, მაგრამ განვითარებისთვის თამაშზე უკეთესი არაფერია".

სამწუხაროდ, ზიმბაბვესთან მატჩში ორი წამყვანი მოთამაშე, უკანახაზელები **თამაზ მჭედლიძე** და **გიორგი ბიწაძე** დაგვაკლდება. მჭედლიძე ერთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, ბიწაძე კი ორ მატჩს გამოტოვებს. სამაგიეროდ „უმცროს ბორჯღალოსნებს" ეროვნული ნაკრებიდან დაუბრუნდა შუამარბი **მერაბ შარიქაძე**, რომელმაც დენვერში კანადის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა და ლელო გაიტანა.

მეორე ტურში კანადელები იაპონელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. ამ თამაშში ნათლად გამოჩნდება ამომავალი მზის ქვეყნის შვილების ნამდვილი ძალა.

A ჯგუფში დიდ ინტერესს იწვევს მასპინძელთა გუნდისა და ჩილეს ნაკრებების დაპირისპირება. ორივე მათგანმა პირველ ტურში გამარჯვებას მიაღწია. ამერიკელებმა ყველასთვის მოულოდნელად ტურნირის ფავორიტ ტონგას ნაკრებს სძლიეს და თუ ჩილელთა დამარცხებასაც შეძლებენ, ფინალში თამაში გარანტირებული ექნებათ.

### საქართველოს ნაკრები, U-20

პირველი ხაზი: **ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი (ყოჩები), ზაზა ნავროზაშვილი (არმია), ვაჟა თაგაური (არმაზი), გიორგი ლომთაძე (აია).**

მეორე ხაზი: **მინდია ელგუჯაური (ბრივი), სანდრო ქოიავა (ლელო), ლაშა ლომიძე (მონპელიე), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქები).**

მესამე ხაზი: **საბა ბერაძე (ხულიგანა), გურამ შენგელია (ჯიქები), ელგუჯა სურგულაძე (ლელო), ბექა მამრიკიშვილი (ჯიქები).**

**№9: ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი).**

**№10: გიორგი ბასილაია (ხარები), გოდერძი ჭინჭარაული (ლელო).**

**№12-13: გიგა გაგოშვილი, თამაზ მჭედლიძე (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).**

**№11-14: ლევან გოგოლაშვილი (არმია), ზურაბ ძნელაძე (აია), გიორგი ბიწაძე (ლოკომოტივი).**

**№15: ბახვა კობახიძე, საბა ნიკოლავა (ორივე-არმია).**

### A ჯგუფი

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჩილე - 5 ქულა, 2. აშშ - 4, 3. ტონგა - 0, 4. რუსეთი - 0.**

### B ჯგუფი

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. იაპონია - 5 ქულა, 2. საქართველო - 4, 3. ზიმბაბვე - 1, 4. კანადა - 0.**

### 22 ივნისი

**საქართველო-ზიმბაბვე, იაპონია-კანადა, ტონგა-რუსეთი, აშშ-ჩილე.**

### 26 ივნისი

**საქართველო-იაპონია, ზიმბაბვე-კანადა, ჩილე-ტონგა, აშშ-რუსეთი.**

### 30 ივნისი

**ფინალი**

● ჭაბუკთა ლიგა

# ორი დაუმარცხებელი: ხარები და აკადემია

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში მორიგი, მე-7 ტური B ჯგუფის გუნდების შეხვედრებით დასრულდა. აქ დაუმარცხებლად ორი გუნდი რუსთავის „ხარები" და თბილისის „აკადემია" ასპარეზობს. მომდევნო ეტაპზე გასვლის ყველაზე რეალური კანდიდატებიც სწორედ ეს გუნდები არიან.

„ხარებმა", რომელსაც 30 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა, შინ დაამარცხა ოზურგეთის „არწივები" - 60:5. რუსთაველებს ერთი ქულით ჩამორჩება „აკადემია", რომელმაც მშრალი ანგარიშით სძლია თბილისის „ტორნადოს" - 46:0.

ლიდერებს 22 ქულით კვალში უდგას „არმია". ამ გუნდმა მე-7 ტურში უშუალო კონკურენტ თბილისის „ხულიგანას" მოუგო დამაჯერებლად - 45:10. „ხულიგანა" 21 ქულით მე-4 ადგილზე დამკვიდრდა.

კიდევ ერთ მატჩში ქიათურის „იმერეთმა" შინ დაამარცხა „ყოჩები" - 22:10.

### A ლიგა

### B ჯგუფი

**ხულიგანა-არმია 10:45, აკადემია-ტორნადო 46:0, ხარები-არწივები 60:5, იმერეთი-ყოჩები 22:10.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ხარები - 30 ქულა, 2. აკადემია - 29, 3. არმია - 22, 4. ხულიგანა - 21, 5. არწივები - 18, 6. იმერეთი - 9, 7. ყოჩები - 4, 8. ტორნადო - 3.**

● ერთა თასი

# სამოა წყნარ ოკეანეში უძლიერესია

წყნარი ოკეანის აუზის ერთა თასის გათამაშებაში ერთი მატჩი დარჩა გასამართი. ფიჯის ნაკრები ბოლო მატჩში ტონგას ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, თუმცა ამ თამაშის შედეგის მიუხედავად, გათამაშების გამარჯვებული სამოას ნაკრებია.

სამოელებმა ბოლო, მესამე ტურში იაპონიის ნაკრებს, რომელიც ნოემბერში თბილისში გვეწვევა, მინიმალური სხვაობით 27:26 მოუგო და ტურნირი დაუმარცხებლად განვლო. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ კი სამივე თამაში წააგო, თუმცა ისიც ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ იოლად არავისთვის არაფერი დაუთმია.

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. სამოა - 12 ქულა, 2. ფიჯი - 5, 3. ტონგა - 5, 4. იაპონია - 4.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ჩოგბურთი. უიმბლდონის წინ

# 10 ყველაზე დასამახსოვრებელი

**უიმბლდონის დაწყებამდე სამი დღით ადრე გთავაზობთ, ერთად გავიხსენოთ ამ ტურნირის 10 ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით გახდა ისტორიის კუთვნილება.**



ნადალმა ფედერერი დაამარცხა ყველაზე ლამაზ ფინალში

### 10. ბორის ბეკერი (გერმანია)-კევინ კარენი (აშშ, 8) 6:3, 6:7(4), 7:6(3), 6:4

**1985 წელი. ფინალი**

1985 წლის ფინალის შემადგენლობა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. ერთი წლით ადრე ტიტული გაითამაშეს **ჯონ მაკინროიმ** და **ჯიმი კონორსმა,** ახლა კი ეს ორი ჩოგბურთელი ბრძოლას გამოთიშა სამხრეთაფრიკული წარმოშობის ამერიკელმა **კევინ კარენმა**, რომელსაც სახელგანთქმული **ტონი როჩი** ავარჯიშებდა. კარენი იყო პირველი მოთამაშე, ვინც ეს ორი ლეგენდარული ჩოგბურთელი ერთ ტურნირზე დაამარცხა. ფინალში კი მას შეხვდა პრაქტიკულად ყველასთვის უცნობი **ბორის ბეკერი**. ფინალის დღეს გერმანელი 17 წლისა და 227 დღის იყო და არ მიიჩნეოდა ფავორიტად იმ დროისთვის ყველაზე ძლიერი მოწოდების მქონე კარენის წინაალმდეგ. მაგრამ ბორისმა ოთხ სეტში მიაღწია გამარჯვებას და მაყურებელს თავი დაამახსოვრა ბადესთან ვარდნაში ლამაზი თამაშით.

### 9. ანდრე აგასი (აშშ, 12)-გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 8) 6:7(8), 6:4, 6:4, 1:6, 6:4

**1992 წელი. ფინალი**

**ანდრე აგასი** თავისი კარიერის პირველ წლებში "ცუდი ბიჭის" როლს თამაშობდა, არ ცნობდა ავტორიტეტებს და არ მისდევდა საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. და კიდევ, სრული ანტიპათიით იყო განწყობილი "დიდი სლემის" ორი ტურნირის - ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის მიმართ. მისი აზრით, ავსტრალიაში დიდი ხანი ფრენა იყო საჭირო, უიმბლდონს კი ასე უწოდებდა: *"ტურნირი, რომელიც წარსულში ჩარჩა და იქ არაფერი მესაქმება"*. გარკვეული ბედის ირონიაა ის, რომ ავსტრალიური ტურნირი საუკეთესო იყო ანდრესთვის "დიდი სლემის" ჩემპიონატებიდან (მელბურნში მან ოთხჯერ გაიმარჯვა, არადა, იქ პირველად 1995 წელს ჩავიდა).

1987 წელს, თავის პირველ უიმბლდონზე **ანრი ლეკონტთან** სწრაფი ნაგების შემდეგ, დიდი ხანი არ ჩადიოდა ლონდონში და იქ მხოლოდ 1991 წელს დაბრუნდა. მაშინ მან მეოთხედფინალამდე მიაღწია. მომდევნო წელს ამავე სტადიაზე ბორის ბეკერი დაამარცხა, შემდეგ "თაობათა ბრძოლა" მოუგო ჯონ მაკინროის, რომელიც ასრულებდა კარიერას, დაბოლოს, ფინალში **გორან ივანიშევიჩს** შეხვდა. ყუმბარისებური მოწოდების მქონე ხორვატს მანამდე ორჯერ ჰყავდა დამარცხებული ანდრე ჰარდსა და ხალიჩაზე. გორანმა ფინალამდე უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი **სტეფან ედბერგი** და ამ ტურნირის მომავალი "მეფე" **პიტ სამპრასი** ჩამოიცილა გზიდან. ივანიშევიჩის მოწოდებისთვის გამკლავება მართლაც რთული იყო, მაგრამ ანდრემ შეძლო მეორე, მესამე და მეხუთე სეტებში თითო ბრეიკის აღება და კარიერაში პირველად და ერთადერთხელ მოიგო უიმბლდონი.

### 8. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 4)-მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6(5), 6:2, 7:6(3)

**2003 წელი. ფინალი**

ამ წელს დაიწყო **როჯერ ფედერერის** ბატონობა უიმბლდონზე. მიუხედავად იმისა, რომ ფინალის მონაწილეებს აქამდე "დიდი სლემის" არც ერთი ტურნირი არ ჰქონდათ მოგებული, აშკარა ფავორიტად მაინც ფედერერი მიიჩნეოდა, განსაკუთრებით ნახევარფინალში **ენდი როდიკზე** დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ. მთელი მატჩის განმავლობაში ფილიპუსისს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუღია, ფედერერმა კი ორჯერ აიღო ავსტრალიელის მოწოდება ერთ სეტში, დანარჩენ ორ პარტიაში კი ტაი-ბრეიკზე იმარჯვა. ამ წარმატებამ გახსნა როჯერის მოგებათა სერია უიმბლდონზე, რომელიც ზედიზედ ხუთი სეზონი გაგრძელდა. მომდევნო ორ ფინალში მან როდიკს მოუგო, შემდეგ ორჯერ ზედიზედ დაამარცხა **რაფაელ ნადალი**.

### 7. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 15)-პიტ სამპრასი (აშშ, 1) 7:6(7), 5:7, 6:4, 6:7(2), 7:5

**2001 წელი. IV წრე**

უიმბლდონზე თავისი პირველი ცნობილი გამარჯვება ფედერერმა უფრო ადრე მოიპოვა, 2001 წელს. 29 წლის პიტ სამპრასი ტურნირს ოთხგზის მოქმედი ჩემპიონის რანგში იწყებდა. 1993 წლიდან მოყოლებული, მას აქ ერთადერთი წაგება ჰქონდა – 1996 წლის მეოთხედფინალში **რიხარდ კრაიჩეკისგან**. იმ დროს ფედერერი 19 წლის ნიჭიერი მოთამაშე იყო, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მისგან გამარჯვებას არავინ ელოდა, მაგრამ როჯერმა მაშინ შეძლო სამპრასისა და მთლიანად საჩოგბურთო სამყაროს შოკირება, როცა შეხვედრა ხუთ სეტში მოიგო. ფედერერმა სამპრასი მისსავე იარაღით დაამარცხა - კარგი მოწოდებით, ბადესთან გასვლებით და აგრეთვე უზუსტესი შემოვლითი დარტყმებით. მაგრამ მაშინ შვეიცარიელმა საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა, რადგან შემდეგ წრეში **ტიმ ჰენმანთან** დამარცხდა. პიტმა კი შემდეგ წელს კიდევ ერთ შვეიცარიელთან - **ჟორჟ ბასტლთან** წააგო.

### 6. პიტ სამპრასი (აშშ, 1)-პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 12) 6:7(10), 7:6(5), 6:4, 6:2

**2000 წელი. ფინალი**

სამპრასის ყველაზე ცნობილი წაგების გახსენების შემდეგ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი ბოლო ტრიუმფი უიმბლდონზე. ამერიკის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულმა **პატრიკ რაფტერმა** კარიერაში პირველად გააღწია უიმბლდონის ფინალში. ავსტრალიელმა პირველი სეტი დაძაბულ ტაი-ბრეიკზე მოიგო, მეორე პარტიის დროს წვიმა წამოვიდა და მატჩი დიდი ხნით შეწყდა. კორტზე დაბრუნების შემდეგ, პიტმა უკეთ თამაში დაიწყო, სეტებში ანგარიში გაათანაბრა და შემდეგ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. ამის წყალობით სამპრასმა გაუსწრო **როი ემერსონს**, რომელსაც სარეკორდო - 12 გამარჯვება ჰქონდა „დიდი სლემის" ტურნირებზე. საბოლოოდ, პიტმა კარიერაში 14 ასეთ ტრიუმფს მიაღწია და ზუსტად ათი წელი იყო რეკორდსმენი.

### 5. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)-პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 3) 6:3, 3:6, 6:3, 2:6, 9:7.

**2001 წელი. ფინალი**

ეს იყო, ალბათ, უიმბლდონის ისტორიაში მთავარი სასწაული. უიმბლდონის სამგზის ფინალისტი გორან ივანიშევიჩი, რომელიც მაშინ 29 წლის იყო, ტრავმებისა და სუსტი გამოსვლის გამო რეიტინგის პირველი ასეულიდან გავარდა, უიმბლდონის წინ ორ „გასახურებელ" ტურნირზე (ლონდონსა და ჰერტოგენბოშში) მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო. მიუხედავად ამისა, ორგანიზატორებმა გორანს „უაილდ-ქარდი" მიანიჭეს და მან დაუჯერებელი რამ შეძლო. ხორვატმა დაამარცხა იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე ენდი როდიკი, შემდეგ გაუსწორდა **გრეგ რუსეცკის**, მოუგო მსოფლიოს მესამე ჩოგანსა და ამერიკის ღია პირველობის მოქმედ ჩემპიონს **მარატ საფინს**, ნახევარფინალში კი 1:2-დან გადაარჩინა შეხვედრა ტიმ ჰენმანთან (თანაც მესამე პარტია „მშრალი" ანგარიშით წააგო). ივანიშევიჩის აღიარებით, ის გადაარჩინა მესამე სეტის შემდეგ წამოსულმა წვიმამ, რის გამოც შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიდო. სხვათა შორის ფინალი, პირველად 1922 წლის შემდეგ, ორშაბათს გაიმართა და დაძაბულ ბრძოლაში გორანმა შეძლო პატრიკ რაფტერის დამარცხება, რომელმაც ისე დაასრულა კარიერა, რომ ვერც-ერთხელ ვერ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი.

### 4. ჯონ ისნერი (აშშ, 23)-ნიკოლა მაუ (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:7(7), 7:6(3), 70:68

**2010 წელი. I წრე**

მატჩი, რომელიც უიმბლდონის შორეულ მე-18 კორტზე დაიწყო, თავიდან არანაირ ყურადღებას არ იქცევდა - **ჯონ ისნერმა** და **ნიკოლა მაუმ** თითო ბრეიკით მოგებული სეტები გაცვალეს, შემდეგ ორჯერ ტაი-ბრეიკზე გაარკვიეს ურთიერთობა და ანგარიში 2:2 გახდა, რის შემდეგაც თამაში მომდევნო დღისთვის გადაიდო. მეხუთე პარტია დროში თანდათან გაიწელა და სულ უფრო მეტად იპყრობდა მაყურებლის ინტერესს. რაღაც მომენტში კორტის მცირე ტრიბუნაზე თავისუფალი ადგილი აღარ იყო, მაგრამ ჩოგბურთის მოყვარულთა ნაკადი არ წყდებოდა. ეს არც იყო გასაკვირი - ანგარიში იზრდებოდა და მალე ელექტროტაბლომ ვერ გაძლო - ის 47:47-ზე გამოვიდა მწყობრიდან. 59:59-ზე მატჩი ისევ გადაიდო მეორე დღისთვის და კიდევ 19 გეიმის შემდეგ, ისნერმა, როგორც იქნა, გააკეთა ბრეიკი და 70:68 (!) გაიმარჯვა.

ამ მატჩში ერთბაშად რამდენიმე „სამუდამო" რეკორდი დამყარდა: 183 გეიმი, 11 საათი და 5 წუთი ხანგრძლივობა, 100-ზე მეტი ეისი თითო მონაწილეზე (103 მაუს და 112 ისნერს), ერთი ჩოგბურთელის მიერ 500-ზე მეტი გათამაშების მოგება (502 - მაუმ).



ივანიშევიჩის სენსაციური გამარჯვება

### 3. ბიორნ ბორგი (შვედეთი, 1)-ჯონ მაკინროი (აშშ, 2) 1:6, 7:5, 6:3, 6:7(16), 8:6

**1980 წელი. ფინალი**

1980 წელს **ბიორნ ბორგმა** ზედიზედ მეხუთედ მოიგო უიმბლდონი და იმ სეზონში ყველაზე მეტად გაუჭირდა ამის გაკეთება. 21 წლის მაკინროის იმ მომენტისთვის 20 ტიტული ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ პირველად თამაშობდა „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი მატჩი მაკინროიმ შესანიშნავად დაიწყო და იოლად მოიგო პირველი სეტი. მაგრამ შემდეგ ბორგმა კონცენტრაცია მოახდინა და ზედიზედ ორი პარტია აიღო. შეხვედრის მთავარი მომენტი გახდა მეოთხე სეტის ტაი-ბრეიკი, რომელიც 20 წუთი გაგრძელდა. ბიორნს ხუთი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ მაკინროიმ ყველა მოიგერია და თამაში მეხუთე სეტში გადაიყვანა. როგორც მოგვიანებით ჯონმა განაცხადა, მან გაიფიქრა, რომ ბორგი ფსიქოლოგიურად გატყდებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. შვედმა მეხუთე სეტში თავისი ყველა გეიმი შეინარჩუნა, ბოლოს კი ბრეიკი გააკეთა და ტიტული დაიცვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

აგასის ერთადერთი ტრიუმფი

### 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 2)-ენდი როდიკი (აშშ, 6) 5:7, 7:6(6), 7:6(5), 3:6, 16:14

**2009 წელი. ფინალი**

სწორედ ამ მატჩში დაამხო ფედერერმა პიტ სამპრასის რეკორდი „დიდ სლემზე" მოპოვებული ტიტულების რაოდენობით. ამერიკელი პირადად ესწრებოდა ამ შეხვედრას და, ალბათ, თავის თანამემამულეს გულშემატკივრობდა. აქამდე როდიკს ორჯერ ჰქონდა წაგებული როჯერთან უიმბლდონის ფინალი - 2004 და 2005 წლებში, ამჯერად კი პრაქტიკულად ერთი ნაბიჯი დააკლდა გამარჯვების მოსაპოვებლად. პირველი სეტის მოგების შემდეგ, ამერიკელმა მომდევნო ორი პარტია ტაი-ბრეიკზე წააგო, მაგრამ მეოთხე სეტში ისევ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გადამწყვეტი პარტია ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა (და სარეკორდო „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში მეხუთე სეტში გათამაშებული გეიმების რაოდენობით). 8:8-ზე როდიკს ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ფედერერმა ორივე საფრთხე მოიგერია და ამის შემდეგ დამაჯერებლად ინარჩუნებდა თავის გეიმებს. ენდი კი შესამჩნევად დაიღალა და მხოლოდ საკუთარი მოწოდების ხარჯზე რჩებოდა თამაშში, თუმცა 30-ე გეიმში მთავარმა იარაღმაც უღალატა - როჯერმა მატჩში თავისი ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და მეექვსედ მოიგო უიმბლდონის მთავარი პრიზი.

### 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 2)-როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) 6:4, 6:4, 6:7(5), 6:7(8), 9:7

**2008 წელი. ფინალი**

მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე დასამახსოვრებელი ფინალი ერთი წლით ადრე გაიმართა. როლან გაროსზე ფედერერმა მტკივნეული მარცხი იწვნია ნადალისგან ფინალში, როცა ესპანელს მხოლოდ ოთხი გეიმი აართვა, თუმცა უიმბლდონი შვეიცარიელის მშობლიური სახლი იყო, სადაც ის ყოველთვის ყველაზე ძლიერი გახლდათ.

მიუხედავად ამისა, პირველი ორი სეტი ნადალმა მოიგო, არადა, მეორე პარტიის სტარტზე როჯერმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში. მესამე პარტიის მსვლელობისას, რომელიც წვიმის გამო შეწყდა, სათამაშო უპირატესობა უკვე შვეიცარიელის მხარეს გადავიდა და მან ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა. მეოთხე პარტიაში არც ერთი ბრეიკი არ დაფიქსირებულა. ამჯერად მე-13 გეიმი უკეთ ესპანელმა დაიწყო და წინ გაიჭრა - 4:1, 5:2... ამ მომენტში, რაფაელს საკუთარ მოწოდებაზე ოთხმაგი მატჩბოლის მიღების შანსი ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად ორმაგი შეცდომა დაუშვა. ესპანელმა სეტბოლის მოგერიების შემდეგ, მაინც მიიღო ორი მატჩბოლი - 7:6-ზე და 8:7-ზე. ფედერერმა ორივე ბურთი გადაარჩინა და შემდეგ სეტებში ანგარიში გაათანაბრა. მეხუთე სეტი, რომელიც ისევ შეწყდა წვიმის გამო, პრაქტიკულად სიბნელეში სრულდებოდა და სავარაუდოდ, 8:8-ზე მას ორშაბათისთვის გადადებდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში ნადალმა ბრეიკი გააკეთა და შემდეგ მატჩზე ჩაანოდა, რითაც კარიერაში პირველად მოიგო უიმბლდონი.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. ახალი ამბები


რაშარდ ლუისი

# დიდი გაცვლები დაიწყო

ეროვნულსაკალათბურთო ასოციაციაში მასშტაბური გაცვლა მოხდა. „ვაშინგტონსა“ და „ნიუ ორლეანს“ შორის დადებული გარიგების თანახმად, „ჰორნეტსმა“ მიიღო ფორვარდი **რაშარდ ლუისი** და დრაფტის მეორე რაუნდში არჩევის უფლება მიიღო, სანაცვლოდ კი დედაქალაქურ კლუბში გაემგზავრნენ ცენტრი **ემეკა ოკაფორი** და ფორვარდი **ტრევორ არიზა.**

შეგახსენებთ, რომ „ჰორნეტსში“ სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვას აპირებდნენ და ამისთვის სწორედ ოკაფორისა და არიზას გაშვება ჰქონდათ დაგეგმილი, რაც განახორციელეს კიდეც. გარდა ამისა, კლუბი 13.7 მილიონ დოლარად გამოისყიდის რაშარდ ლუისის კონტრაქტს.

ოკაფორისა და არიზას კონტრაქტები კიდევ ორი წელია ძალაში და „ვაშინგტონი“ მომავალი ორი წლის განმავლობაში ამ კალათბურთელებს ჯამში 43 მილიონ დოლარს გადაუხდის.

# 30 წლის მენეჯერი


რობ ჰენიგენი

ახალი გენერალური მენეჯერი ჰყავს „ორლანდო მეჯიქს“. კლუბის ხელმძღვანელობამ ამ პოსტზე 30 წლის **რობ ჰენინგენი** დანიშნა, რომელმაც მანამდე „ოკლაჰომა-სიტი თანდერში“ გენერალური მენეჯერის - **სემ პრესტის** ასისტენტი იყო. ალსანიშნავია, რომ ჰენინგენი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გენერალური მენეჯერი გახდა.

*„იმედი გვაქვს, სწორი არჩევანი გავაკეთეთ, როცა რობი ასეთ მაღალ თანამდებობაზე დავნიშნეთ..ის კარგად არის ორიენტირებული NBA-ის თანამედროვე რეალობაში და შეუძლია ჩვენს გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანოს“,* - ამბობს „როიტერთან“ კომენტარში „მეჯიქის“ პრეზიდენტი **ალექს მარტინი.**

# ბოსტონი ლიდერებს დაიტოვებს

„ბოსტონ სელტიქსი“ ახალი სეზონისთვის თავისი ყველა ლიდერის შენარჩუნებას აპირებს. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა** განაცხადა, რომ კლუბს განზრახული აქვს ახალი კონტრაქტის გაფორმება **კევინ გარნეტთან, რეი ალენთან, ბრენდონ ბასთან** და **ჯეფ გრინთან.** ეს კალათბურთელები პირველი ივლისიდან თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებენ.

როგორც ეინჯი ამბობს, კლუბს თავისი ლიდერების შენარჩუნება სურს, რადგან ამ ზაფხულს ბაზარზე შემადგენლობის გაძლიერების არც ისე ბევრი ვარიანტია.

თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია სიტუაცია კევინ გარნეტთან დაკავშირებით. იგივე ეინჯი არ გამორიცხავს, რომ ვარსკვლავური ფორვარდი უახლოეს ხანში დაასრულებს კარიერას. მაისში კევინი 36 წელი შეუსრულდა.

*„ბოლო დროს ინტენსიური ურთიერთობა მქონდა გარნეტთან და შემიძლია გითხრათ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მას ჯერ არ მიუღია. მოსაფიქრებლად დრო საკმარისი აქვს და ჩვენც არ ვაჩქარებთ. მას მოსწონს „ბოსტონი“ და* ***დოკ რივერსი,*** *მაგრამ მე დარწმუნებული არ ვარ, საერთოდ სურს თუ არა კარიერის გაგრძელება. ერთი რამ ცხადია - თუ ის გადაწყვეტს თამაშის გაგრძელებას, მაშინ „სელტიქსში“ დარჩება“,* - ამბობს ESPN-თან კომენტარში ეინჯი.


გარნეტი ჯერ ფიქრობს

# ნეში ნიქსზე თანახმაა

„ფინიქსის“ 38 წლის გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** განაცხადა, რომ სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას „ნიუ იორკ ნიქსში“.

*„ნიუ იორკი“ ბრწყინვალე გუნდია. სეზონებს შორის შესვენებისას სწორედ ამ ქალაქში ვცხოვრობ, ასე რომ, სიამოვნების განვიხილავ „ნიქსის“ წინადადებას, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ მოხდება. მე მზად ვარ მოლაპარაკებებისთვის“,* - ამბობს ნეში ამერიკულ პრესასთან კომენტარში.

● ფორმულა 1. ევროპის გრანპრის წინ

# მერვე ეტაპი მოახლოვდა

მონრეალში ტრადიციული ვოიაჟის შემდეგ, ფორმულა 1 ევროპაში ბრუნდება. კალენდარში მერვე ეტაპად ვალენსიაში გასამართავი ევროპის გრან-პრი დგას. პირველად ამ ქალაქში ქუჩის რბოლა 2008 წელს ჩატარდა. და მაშინვე გაირკვა, რომ ტრასა 25 მოსახვევით, ასე თუ ისე, საინტერესოა, მაგრამ იქ გამართულ ბრძოლას საინტერესოს ვერ ვუწოდებთ. ვალენსიაში დაფიქსირებული საშუალო სიჩქარე სიდიდით ქვემოდან მეოთხეა ფორმულა 1-ის ტრასებს შორის და ტრეკი თითქმის არ გამოდგება გასწრებისთვის.

აქ მხოლოდ ერთხელ მოიგო პილოტმა, რომელსაც ტრასაზე პირველი პოზიცია არ ეკავა. 2009 წელს, სასტარტო ბილიკზე მესამე ადგილზე მყოფმა **რუბენს ბარიკელომ** ტაქტიკურად მოუგო "მაკლარენების" დუეტს და პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ეს გამონაკლისი იყო, ამიტომაც კვალიფიკაცია ვალენსიაში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უნგრეთში, მონაკოსა თუ სინგაპურში.

ამავდროულად, ამ ტრასაზე არის სწრაფი მოსახვევები, ამიტომაც კარგი ბალანსი მოსახვევებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ტრადიციულად ცხელი ამინდი აუცილებლად იმოქმედებს საბურავების მუშაობაზე: Meduim-სა და Soft-ის შემადგენლობის საბურავები გარკვეულ უპირატესობას მოუტანენ "ზაუბერსა" და "ლოტუსს", რაც არაერთხელ მომხდარა მიმდინარე სეზონში, სხვებისგან კი სამ პიტსტოპს უნდა ველოდოთ.



არ შეიძლება იმის თქმა, რომ ვალენსიაში გასწრება შეუძლებელია, მაგრამ 2001 წელს, DRS-ის სისტემის შემოღების მიუხედავად, მთელი რბოლის განმავლობაში პირველ ექვსეულში მხოლოდ ორი გასწრება ვიხილეთ.

ევროპის გრან-პრის მთავარი ინტრიგა ცნობილია: გაგრძელდება თუ არა ვალენსიაში უნიკალური სერია, რომლის დროსაც პირველ შვიდ რბოლას სეზონში შვიდი სხვადასხვა პილოტი იგებდა?

**ევროპის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - ვალენსია, ესპანეთი
**წრის სიგრძე** - 5 419 მ
**საუკეთესო წრე** - 1:38,683 (გლოკი, 2009)

**საერთო ჩათვლა**

1. ჰემილტონი (მაკლარენი) - 88
2. ალონსო (ფერარი) - 86
3. ფეტელი (რედ ბული) - 85
4. უებერი (რედ ბული) - 79
5. როსბერგი (მერსედესი) - 67
6. რაიკონენი (ლოტუსი) - 55
7. გროსჟანი (ლოტუსი) - 53
8. ბატონი (მაკლარენი) - 45

**განრიგი**

22 ივნისი, 12:00 - I პრაქტიკა
22 ივნისი, 16:00 - II პრაქტიკა
23 ივნისი, 13:00 - III პრაქტიკა
23 ივნისი, 16:00 - კვალიფიკაცია
24 ივნისი, 16:00 - რბოლა


ლუის ჰემილტონი

# მალე მოლაპარაკება დაიწყება...

"მაკლარენის" პილოტს **ლუის ჰემილტონს** მიაჩნია, რომ თავის ამჟამინდელ გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმება იოლი არ იქნება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელ ავტომრბოლს ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი "მაკლარენთან".

*"რონ დენისმა იცის მოლაპარაკებების წარმოება,* - ამბობს "ავტოსპორტთან" კომენტარში ჰემილტონი. – *მე ძალიან გამიჭირდა მასთან საუბარი მაშინ, როცა წინა ხელშეკრულებას ვაფორმებდით. ვფიქრობ, ამჯერადაც ასე იქნება. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამის გარდა განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვხედავ".*

ამასობაში, ფორმულა 1-ის პილოტები ვალენსიაში ჩავიდნენ და ევროპის გრანპრისთვის ემზადებიან, რომელიც კვირას უნდა გაიმართოს. როგორც იცით, "მაკლარენის" მეორე პილოტს **ჯენსონ ბატონს** რთული პერიოდი უდგას, თუმცა მისი პრობლემები, შესაძლოა, სწორედ ვალენსიაში მოგვარდეს. ბატონმა გადაწყვიტა ამ ეტაპზე იგივე სარბოლო მახასიათებლები გამოიყენოს, რომლითაც ბოლო დროს ჰემილტონი გამოდის.

*"ბოლოდროინდელი წარუმატებელი სერიის გათვალისწინებით, ვფიქრობ ღირს ის სარბოლო მახასიათებლები გამოვიყენო, რომლითაც ჩვენი გუნდის მეორე მანქანა გადის ტრასაზე,* - ამბობს ჯენსონი. – *ის შესამჩნევად განსხვავდება სხვებისგან. რა თქმა უნდა, მე ვერ ვიქნები ლუისივით სწრაფი. მაგრამ ამის შემდეგ შემეძლება წინსვლაზე ფიქრი და ჩემთვის ოპტიმალური მახასიათებლების პოვნა".*

● ცურვა

# ფელპსმა შვიდი შეარჩია

25 ივნისს იწყება ცურვაში ამერიკის ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის ყველა წამყვანი მოცურავე მიიღებს მონაწილეობას. სწორედ ამ ტურნირის შედეგების მიხედვით უნდა დაკომპლექტდეს ოლიმპიური ნაკრები, რომელიც ლონდონის თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

გაირკვა, რომ 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული **მაიკლ ფელპსი** შვიდ დისციპლინაში აპირებს ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას. რაც შეეხება მაიკლის მთავარ კონკურენტს – **რაიან ლოხტეს,** ამერიკის ჩემპიონატზე ის 11 (!) სახეობაში მოსინჯავს ძალებს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლოხტემ ლონდონშიც ამდენივე დისციპლინაში სცადოს ბედი.

სულ ფელპსსა და ლოხტეს ექვსი საერთო დისციპლინა აქვთ არჩეული: 200 და 400 მეტრი კომპლექსური, 100 და 200 მეტრი თავისუფალი, 200 მეტრი გულაღმა და 100 მეტრი ბატერფლაი. ამ სახეობების გარდა, ფელპსი აპირებს 200 მეტრი ბატერფლაის გაცურვას.

შეგახსენებთ, რომ მაიკლმა ათენის ოლიმპიადაზე ექვსი ოქრო მოიგო, პეკინში – რვა. ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ მას თეორიულად შეუძლია ოთხი წლის წინანდელი შედეგის გამეორება. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ფელპსი ლონდონში სამ ესტაფეტაშიც მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, მაიკლს ათი მედლის მოპოვების შანსი აქვს, თუმცა ჯერ წარმატებით უნდა გაიაროს შესარჩევი ტურნირი.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ ფელპსი დიდი სპორტიდან წასვლას აპირებს.

ქალებს შორის ხუთ-ხუთი დისციპლინა აირჩიეს ამომავალმა ვარსკვლავმა **მელისა ფრანკლინმა** და სახელგანთქმულმა **ნატალი კაფლინმა.** 45 წლის **დარა ტორესი** შეეცდება თავის მეექვსე ოლიმპიადაზე მხოლოდ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოიპოვოს საგზური.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


მაიკლ ფელპსი

● ჰოკეი. NHL

# პრიზები დარიგებულია

## ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ განვლილი სეზონის საუკეთესოები დაასახელა



ევგენი მალკინი

ლას-ვეგასის Encore Theater-ში ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ 2011-12 წლების სეზონის ლაურეატები გამოავლინა.

საღამოს ტრიუმფატორი გახდა „პიტსბურგ პინგვინზის“ ფორვარდი **ევგენი მალკინი**, რომელმაც სეზონის მთავარი პრიზი - „ჰარტ ტროფი“ დაიმსახურა. ეს ჯილდო სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს გადაეცემა.

მალკინმა ჰოკეიზე მომუშავე ჩრდილოამერიკელი ჟურნალისტებისგან 144 ხმა მიიღო და მნიშვნელოვნად გაუსწრო ამ ნომინაციაში თავის კონკურენტებს - **სტივენ სტემკოსსა** („ტამპა ბეი“) და **ჰენრიკ ლუნდკვისტს** („რეინჯერსი“).

გარდა ამისა, იმ საღამოს რუსმა ფორვარდმა ერთგვარი ჰეთ-თრიკი შეასრულა - „ჰარტ ტროფის“ გარდა, კიდევ ორი პრიზი დაიმსახურა. ერთ-ერთი - „არტ როს ტროფი“ მან რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარიდრობისთვის მიიღო. მალკინმა 82 მატჩში 109 ქულა (50 გოლი+59 პასი) დააგროვა და რვა ქულით გაუსწრო სტემკოსს. სხვათა შორის ამ უკანასკნელმა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერისთვის განკუთვნილი პრიზი - „მორის რიშარ ტროფი“ დაიმსახურა - მან სეზონი 60 გოლით დაასრულა.

მალკინისთვის მესამე პრიზი გახდა „ტედ ლინდსეი ევორდი“. ეს ჯილდო გადაეცემა ჰოკეისტს, რომელიც საუკეთესო იყო სეზონში თავად მოთამაშეების აზრით. ეს ყოველთვის განსაკუთრებული ჯილდოა, რადგან ის ობიექტურად აფასებს მოთამაშის ოსტატობას.

■ ■ ■

„ჰარტ ტროფისა“ და „ტედ ლინდსეი ევორდის“ ნომინანტი, „რეინჯერსის“ მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტი** პრიზის გარეშე მაინც არ დარჩენილა. შვედი მეოთხედ იყო „ვეზინა ტროფის“ (სეზონის საუკეთესო მეკარე) ფინალისტი და კარიერაში პირველად დაიმსახურა ეს პრიზი. ლენდკვისტმა რეგულარული ჩემპიონატი 39 მოგებით დაასრულა, საშუალოდ მატჩში 1.97 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.0 პროცენტს იგერიებდა. საუკეთესო მეკარეს NHL-ის კლუბების გენერალური მენეჯერები ავლენდნენ და ჰენრიკმა 120 ქულა მიიღო. ბევრით ჩამორჩნენ მას სტენლის თასის MVP, „ლოს ანჯელეს კინგზის“ გოლკიპერი **ჯონათან კუიკი** და ნეშვილელი **პეკა რინე.**

კარიერაში ორი დიდი დღე ჰქონდა „ოტავას“ ახალგაზრდა მცველს **ერიკ კარლსონს.** ჩვენ ვწერდით იმის შესახებ, შვედმა შვიდწლიანი და 45-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა „სენატორზთან“, მეორე დღეს კი სეზონის საუკეთესო



ჰენრიკ ლუნდკვისტი

მცველის პრიზი („ნორის ტროფი“) მიიღო. ის პირველად იყო ამ ჯილდოზე წარდგენილი და სულ მცირედით - 12 ქულით აჯობა **ში უებერს** („ნეშვილი“).

სამი პრიზი დაისაკუთრა „სენტ ლუის ბლუზმა“. ამ გუნდის დამრიგებელი **კენ ჰიჩკოკი** სეზონის საუკეთესო მწვრთნელი („ჯეკ ადამს ევორდი“) გახდა, **დუგ არმსტრონგი** კი საუკეთესო გენერალური მენეჯერია. გარდა ამისა, ამ გუნდის მეკარეებმა **ბრაიან ელიოტმა** და **იაროსლავ ჰალაკმა** ჯამში ყველაზე ნაკლები შაიბა (165) გაუშვეს და ამისთვის „უილიამ მ. ჯენინგს ტროფი“ მოიგეს.

„კოლორადოს“ 19 წლის ფორვარდი **გაბრიელ ლანდესკოგი** სეზონის საუკეთესო დებიუტანტია („კალდერ ტროფი“). მან სეზონი 22 გოლითა და 30 პასით დაასრულა და იმ საღამოს მესამე შვედი ლაურეატი გახდა. პატიოსანი თამაშისა და ჯენტლმენური მოქცევისთვის პრიზი („ლედი ბინგ ტროფი“) „ფლორიდას“ მცველმა **ბრაიან კემპბელმა** დაისაკუთრა. მან მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ექვსი საჯარიმო წუთი მიიღო.

საღამოს ბოლოს გამოქვეყნდა სეზონის პირველი და მეორე სიმბოლური ნაკრების შემადგენლობები.

**პირველი ნაკრები:** ჰენრიკ ლუნდკვისტი („რეინჯერსი“) - ერიკ კარლსონი („ოტავა“), ში უებერი („ნეშვილი“) - ევგენი მალკინი („პიტსბურგი“), ილია კოვალჩუკი („ნიუ ჯერსი“), ჯეიმს ნილი („პიტსბურგი“).

**მეორე ნაკრები:** ჯონათან კუიკი („ლოს ანჯელესი“) - ზდენო ხარა („ბოსტონი“), ალექს პიეტრანჯელო („სენტ ლუისი“) - სტივენ სტემკოსი („ტამპა ბეი“), მარიან გაბორიკი („რეინჯერსი“), რეი უიტნი („ფინიქსი“).

### ყველა გამარჯვებული

**ჰარტ ტროფი** - ევგენი მალკინი (პიტსბურგი)

**ვეზინა ტროფი** (საუკეთესო მეკარე) - ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი)

**ნორის ტროფი** (საუკეთესო მცველი) - ერიკ კარლსონი (ოტავა)

**კალდერ ტროფი** (საუკეთესო ახალბედა) - გაბრიელ ლანდესკოგი (ოტავა)

**ტედ ლინდსეი ევორდი** (საუკეთესო ჰოკეისტი მოთამაშეების არჩევანით) - ევგენი მალკინი (პიტსბურგი)

**ლედი ბინგ ტროფი** (პატიოსანი ბრძოლა და ჯენტლმენური საქციელი) - ბრაიან კემპბელი (ფლორიდა)

**სელკე ტროფი** (დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდი) - პატრის ბერჟერონი (ბოსტონი)

**მასტერტონ ტროფი** (ჰოკეისტი, რომელმაც გამოავლინა მაღალი სპორტული ოსტატობა და ჰოკეისადმი ერთგულება) - მაქს პასიორეტი (მონრეალი)

**ადამს ტროფი** (საუკეთესო მწვრთნელი) - კენ ჰიჩკოკი (სენტ ლუისი)

**უილიამ მ. ჯენინგს ტროფი** (ერთი კლუბის ორი მეკარის მიერ გაშვებული ყველაზე ნაკლები შაიბა) - ბრაიან ელიოტი და იაროსლავ ჰალაკი (სენტ ლუისი)

**მორის რიშარ ტროფი** (საუკეთესო სნაიპერი) - სტივენ სტემკოსი (ტამპა ბეი, 60 შაიბა)

**არტ როს ტროფი** (საუკეთესო ბომბარდირი) - ევგენი მალკინი (პიტსბურგი, 109 ქულა)

**NHL-ის საუკეთესო გენერალური მენეჯერი** - დუგ არმსტრონგი („სენტ ლუისი)

**კინგ კლენსი ტროფი** (მოთამაშე, რომელიც მისაბაძია პარტნიორებისთვის ყინულზე და მის მიღმა და აქტიურ მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში) - დანიელ ალფრედსონი (ოტავა).

**პრიზი ქველმოქმედებისთვის** - მაიკ ფიშერი (ნეშვილი)

**მარკ მესიეს პრიზი** (მოთამაშე, რომელმაც ლიდერის თვისებები გამოავლინა ყინულზე და მის მიღმა) - შეინ დოუნი (ფინიქსი).



სტივენ სტემკოსი

● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| გაის-ელფსბორგი | 0:3 |
| ნორჩოპინგი-ერებრო | 1:1 |
| სირიანსკა-მიალბიუ | 1:0 |
| ზიმბრუ-ჩახლაული | 0:2 |
| ჰელსინგბორგი-სილკებორგი | 2:0 |
| ციურიხი-არაუ | 4:0 |
| გრიოდიგი-კოშიცე | 2:2 |
| მარიბორი-ინტერი (ბ) | 1:0 |
| რასინგი-ვარეგემი | 0:6 |

#### შვედეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰალმსტადი-ასირისკა | 3:1 |

#### საბერძნეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| პანაჰაიკი-კალონი | 1:0 |
| პლატანიასი-კალითეა | 0:1 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| შელბურნი-შემროკი | 2:3 |

#### ლატვია

| | |
|---|---|
| იურმალა-იელგავა | 0:0 |
| სკონტო-გულბენე | 4:1 |
| მეტალურგი-დაუგავა | 2:0 |
| ვენტსპილსი-მეტა | 1:0 |

#### [illegible]

| | |
|---|---|
| კრუოია-ატლანტასი | 5:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ჰერტოგენბოში

| | |
|---|---|
| იტო-პერი | 3:6, 5:7 |
| როჯე ვასელენი-პეტცშნერი | 4:6, 6:7 |
| მიულერი-მალისე | 3:6, 6:4, 1:6 |
| ფერერი-სისლინგი | 6:0, 6:1 |

#### WTA. ისტბურნი

| | |
|---|---|
| ბარტოლი-საფაროვა | 6:4, 6:2 |
| ზაკოპალოვა-პავლიუჩენკოვა | 6:3, 7:5 |
| კერბერი-მაკაროვა | 6:2, 6:4 |
| პირონკოვა-პაჩეკი | 0:6, 4:6 |

#### WTA. ჰერტოგენბოში

| | |
|---|---|
| ციბულკოვა-პეტროვა | 2:6, 0:6 |
| არვიდსონი-უ. რადვანსკა | 2:6, 6:7 |
| სკიავონე-კლაისტერსი | 3:6, 6:7 |

● TV პროგრამა

### 22 ივნისი. პარასკევი

#### I არხი

22:45 ფეხბურთი. ევრო 2012. 1/4 ფინალი. გერმანია-საბერძნეთი (LIVE).

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რაიო ვალეკანო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ატლანტა-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-პსჟ.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
20:00 პროგრამა - სპორტული კალეიდოსკოპი.
21:00 საფეხბურთი პროგრამა - გოლი.
22:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
23:00 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ჩეზენა.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. V მატჩი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ტოტენჰემი.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. გლოსტერი-ტულუზა.
19:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
20:00 პოკერ-რინგი 2.
21:30 სპორტ-NEWS.
22:00 NBA Action.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. V მატჩი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
16:15 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-შოტლანდია.
18:00 სპორტ-NEWS.
18:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
20:40 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
22:40 ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 32 | (მზე) |
| ქუთაისი | 19 | 32 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 29 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 31 | (მზე) |
| გორი | 15 | 30 | (მზე) |
| თელავი | 16 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 16 | 30 | (მზე) |
| ქობულეთი | 17 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 12 | 28 | (მზე) |
| მესტია | 12 | 27 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0704 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6340 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5669 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9658 |

● კრივი


მენი პაკიაო

# პაკიაოს მოუგია

მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციამ (WBO) უსამართლოდ მიიჩნია ამერიკელი **ტიმოტი ბრედლისა** და ფილიპინელი **მენი პაკიაოს** ბრძოლის შედეგი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც WBO-მ ხუთ საერთაშორისო არბიტრს სთხოვა ბრძოლის ვიდეოჩანაწერის ნახვა. ხუთივე არბიტრმა ერთხმად აღიარა, რომ ლას-ვეგასში გამართულ ჩხუში გამარჯვებას პაკიაო იმსახურებდა. აი მათი შეფასებები: 118:110, 117:111, 117:111, 116:112, 115:113.

არბიტრების მიერ მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, ფილიპინელმა 253 დარტყმა შეასრულა, იმ დროს, როცა ბრედლის მაჩვენებელი გაცილებით მოკრძალებული იყო – 159 დარტყმა.

სამწუხაროდ, WBO-ს არ შეუძლია „პაკმენისთვის“ საჩემპიონო ქამრის დაბრუნება, სწორედ ამის გამო, ორგანიზაციამ ურჩია პაკიაოსა და ბრედლის განმეორებითი ბრძოლის ჩატარება. როგორც იცით, სკანდალური ბრძოლის შემდეგ ფილიპინელმა მატჩ-რევანშის სურვილი გამოთქვა, თუმცა მოგვიანებით მან და მისმა მენეჯერმა – **ბობ არუმმა** განაცხადეს, რომ მენიმ ისედაც მოიგო აღნიშნული ბრძოლა და რევანშის ჩატარების აუცილებლობას ვერ ხედავენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# მსაჯო, გვერდზე გამოდი, გავარჩიოთ... თამაში

ევრო 2012-ზე მსაჯებს შეცდომა შეცდომაზე მოსდით. „ფეისბუქზე“ ჩემმა მეგობარმა, ვთქვათ ლაშამ დადო ფოტო და მიაწერა:

- ესპანელების გოლამდე წამებით ადრე სერხიო ბუსკეტსმა ჩორლუკა მაისურაზე დაქაჩა და წააქცია. მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ესპანელებმა წამოილეს და გაიტანეს :)))

ვახტანგი:

- ამ ჩემპიონატზე ისეთი პენალტები არ დანიშნეს... გადავწყვიტე, ვიდეორეფერის ინიციატივას დავუჭირო მხარი.

ლაშა:

- შენ გვერდით მიგულე! ამოვიდა უკვე ყელში. ბოლო ორ დღეში მგონი უკვე მესამე 100-პროცენტიანი პენალტი არ დაინიშნა ამ ჩემპიონატში

კახა:

- ვიდეორეფერი მგონი, ფეხბურთს ხიბლს დაუკარგავს.

ვახტანგი:

- სადავო ეპიზოდებში, ერთმანეთთან ბუზღუნში კი იკარგება 30 წამი. ამ დროში გაამეორებენ და სამართლიანად გადაწყვეტენ.

ლაშა:

- კახა, სამართალს რა ვუყოთ? წესით, გუშინ ესპანეთი გავარდნილი იყო... ეს პენალტი რომ დანიშნულიყო. ოღონდ, ნურავინ მეტყვის, მერე ამაში კარგი რა იქნებოდაო. ერთი ხორვატებს ვკითხოთ.

კახა:

- ფეხბურთი მსოფლიოში ნომერ პირველ სახეობად იმიტომ ითვლება, რომ ასეთი ეპიზოდებისგან შედგება. მაშინ მსაჯს ფუნქცია ეკარგება. მედალს ორი მხარე აქვს. წარმოიდგინე, ყოველ 5 წუთში თამაშში რომ გაჩერდეს და ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა, მსაჯებმა ტელევიზორში გარჩევა დაიწყონ, რაღა გამოვა?

ვახტანგი:

- ასეთი სადავო ეპიზოდი თამაშში ერთი-ორია. NBA-სავით არაა საჭირო ყოველ გადასულ ბურთზე თამაშის გაჩერება.

კახა:

- რატომ ერთი და ორი? თამაშგარეები? სიმულაციები?

ლაშა:

- ვფიქრობ, მაინც ვიდეორეფერი სჯობს. ის გაუგებარი ფუნქციის ხალხი, კარის ხაზს უკან რომ არიან, ვერაფერს აკეთებენ...

კახა:

- სადავო საკითხია. ამას წინათ, ზურაბ ხიზანიშვილი იყო სატელევიზიო გადაცემაში და იქ თქვა, რომ არ ემხრობა ვიდეორეფერის შემოღებას. ფეხბურთელთა უმრავლესობაც წინააღმდეგია.

ვახტანგი:

- იმ ფეხბურთელებსაც ვკითხოთ, ვისაც მსაჯმა უსამართლოდ ჩამოართვა მოგება.

ლაშა:

- რაგბიში რომ არის, ცუდია?

კახა:

- რაგბი და ფეხბურთი ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან. რაგბიში ძლიერი სუსტს 100-დან 100-ჯერ დაამარცხებს. თან რაგბში მხოლოდ ლელოს დროსაა გამეორება, როცა ზედახორაა. სხვათა შორის არ დაგვავიწყდეს, რომ მაგ ვიდეორეფერიმ ერთხელ ჩვენზე უარყოფითი გავლენა მოახდინა: ირლანდიასთან ლელოს ვგულისხმობ... არ მითხრათ, ვიდეორეფერის წესი რომ არ ყოფილიყო და მსაჯს ის ლელო ჩაეთვალა, გვეწყინებოდაო.

ლაშა:

- მე ვიცი, რომ ამ ევროპის ჩემპიონატზე უკვე ბევრი პენალტი არ დაინიშნა და კიდევ ვიცი, რომ 21-ე საუკუნეა, ტექნოლოგიები წინ წავიდა. აჩემება, რომ „მერსედესების“ ეპოქაში მაინცდამაინც ურმით მინდა გადაადგილება, ცოტა არასერიოზული იქნება. განსაკუთრებით იმ სფეროში, რასაც ფეხბურთი ჰქვია.

კახა:

- მე, მაგალითად, ისეთი ინტერესით ველარ ვუყურებ ფეხბურთს, თუ ფეხბურთელს და მწვრთნელს უფლება ექნება თამაში გააჩერონ, მოედნის კუთხეში თავი მოიყარონ, ეპიზოდი გაარჩიონ, მერე გადაწყვეტილება ერთმანეთში გაარჩიონ. შეცდომაც უნდა იყოს, ემოციაც, გაბრაზებაც, გამწარებაც, სიხარულიც, გაოგნებაც...

ლაშა:

- რატომ უნდა იყოს შეცდომა, თუ შეიძლება, რომ არ იყოს? ეს ვერ გავიგე.

კახა:

- შენი აზრით, ფეხბურთს ის მულამი, პენი არ დაეკარგება?

ლაშა:

- არა მგონია. ვფიქრობ, ფეხბურთის პენი თამაშია და არა მსაჯის შეცდომა...

დავითი:

- ყველა შეცდომას ტექნიკის დანერგვა ვერ გამოასწორებს. მაგალითისთვის: 2010 ჩემპიონატის ფინალის დამატებით დროში სნეიდერმა დაარტყა, ბურთი მოხვდა ესპანელს, მაგრამ მსაჯმა ვერ დაინახა და კუთხური არ დანიშნა - წამოილეს ესპანელებმა, გაიტანეს და მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ. ლაშას ვეთანხმები, რომ სადაც კი უსამართლობის აღმოფხვრა შეიძლება, უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ ფეხბურთი განსაკუთრებული სპორტია და ასეთივე განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო წესების შეცვლისას. ჩოგბურთში [illegible] - მხოლოდ ბურთი სად დაეცა, ისაა გასარკვევი და ამის გადამოწმების უფლებაც კი შეზღუდულად აქვთ მოთამაშეებს; რაგბიშიც მხოლოდ ლელო დაიდო-არ დაიდოს არკვევენ ვიდეორეფერით და ამ ტექნოლოგიის დანერგვამ რაგბის არაფერი ავნო (ისევე, როგორც ჰოკეის და კალათბურთს, სადაც სუფთა სათამაშო დროის პრინციპია)... ამას წინათ ბალახის ჰოკეიში ვნახე ასეთი რამ (მანდ ბოლო დროს გუნდის კაპიტნებს მისცეს უფლება, ეპიზოდის დამთავრების შემდეგ მსაჯს ვიდეორეფერით გადამოწმება მოსთხოვონ, თან არა მარტო გოლზე, არამედ პენალტის და კუთხურის დასანიშნად): ერთი გუნდის საჯარიმოში იყო ბურთი, მერე წამოილო ამ გუნდმა და გაიტანა. დიდად გაიხარეს (ცოტა დრო რჩებოდა და 2-1 დაწინაურდნენ), მაგრამ მეორე გუნდის კაპიტანმა მსაჯს უთხრა, წელან იქ კუთხური უნდა დაგენიშნათო. გადაამოწმეს და... კუთხური დაინიშნა. წარმოგიდგენიათ ასეთი რამ ფეხბურთში?




# სამი მარიო და სუპერმარიო

-ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო გოლი იტალიელი ბალოტელის ანგარიშზეა, - თქვა „ევროსპორტზე“ გერმანელმა თომას ბერთოლდმა და დაამატა: ნახეთ, დარტყმის ეპიზოდში მასზე აშკარად დაჯარიმდნენო. ასეთ სიტუაციაში საკალათბურთო მატჩებისას არბიტრი ორ ქულასაც თვლის და თან ერთ ჯარიმასაც ასროლინებს. ბალოტელისთვის ერთი პენალტიც ალალი იქნებოდა - ბოლომდე მოიოხებდა გულს გინებით. გემახსოვრებათ, გოლის შემდეგ ბალოტელიმ გინება ატეხა, რის გამოც თანაგუნდელმა ბონუჩიმ მას პირზე ხელი ააფარა. დღემდე გაუგებარია, ვის აგინებდა თავდამსხმელი. ალბათ, სკეპტიკოსებს, რომლებმაც მანამდე გაცუდებული რამდენიმე მომენტისთვის მისადმი კრიტიკა არ დაიშურეს.

ერთმა გამოცდილმა ჟურნალისტმა გვითხრა: იტალია-ხორვატია ფრედ დასრულდება და ბუფონის კარში გოლს მანჯუკიჩი გაიტანსო. ასე აგიხდეთ ყველაფერი. ეს გახლდათ მანჯუკიჩის მესამე გოლი მიმდინარე ჩემპიონატზე, რაც ჯერჯერობით ბომბარდირობისთვის საკმარისია.

ასევე სამი გოლი აქვს გატანილი გერმანელ გომესს, რომელმაც ალემანები მეოთხედფინალში გაიყვანა. განვლილი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გერმანელ გო-მესიზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, რამდენად წინ წავა ნაკრები.

ევრო 2012-ის გოლეადორთაგან სამი გამოვარჩიეთ: ბალოტელი, მანჯუკიჩი და გომესი. მათ კიდევ აქვთ საერთო - სამივეს მარიო ჰქვია. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს კომპიუტერული თამაში „მარიო“, რომელშიც ერთი ულვაშა მუშა ათას ბარიერს ახტება, რათა მილში ჩავიდეს და შემდეგ ეტაპზე გავიდეს.

ულვაშას ხსენებაზე... ზემოთ სამი მარიო დავასახელეთ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე სუპერმარიოცაა - ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე. ულვაშა სპეციალისტმა დინჯად გადალახა იტალიის, ხორვატიის, ირლანდიის ბარიერი და მეოთხედფინალში გავიდა. ასევე წარმატებით დაძლია ჯგუფური ეტაპი მარიო ბალოტელის იტალიამ და მარიო გომესის გერმანიამ, ხოლო რა ბედი ეწია მარიო მანჯუკიჩის ხორვატიას, კარიკატურაზე ნახავთ.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქურნალი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608